ახალი განცხადება

19.12.2019

№40 (874) გამოდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

ხედაქსია თანაგრძნობას უცხადებს ღუჯა სიხაძის ოჯახს, მეგობრებს.

გუშინ ჩვენი გაზეთის 2019 წლის ბოლო ნომერი დავაჯაბადონეთ და პირველი გვერდის მომზადებისას, ვეცადეთ, მკითხველისთვის წინასაახალწლო განწყობა შეგვექმნა. საღამოს, იაშვილის ჯერნიჯაში, 15 წლის ღუჯა სიხაძის გახდაცვალებამ ახა მარტო ჩვენი ხედაქსია, მთელი ქვეყანა თავდაყირა დააყენა... საგანგაშო ხალობის პირისპირ ალმოვჩნდით – სისტემა ჯლავს. ჩვენ 22 წლის დემეკ სტუჩუას სიტყვებიც გვახსოვს: „დედა, დარჩი მარტო, მაგრამ რა ვქნა...“ სამწუხაროდ, გვახსოვს ბევრი რამ მანამდეც და მას შემდეგაც...

იმედია, შემზარავი ტრაგედია უკვალოდ არ ჩაივლის და სისტემა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების „ხეფორმის“ ჯარს ალიარებს და ობიექტურად დაადგენს, პოლიციელების ზენოლამ მიიყვანა თუ არა 15 წლის მოზარდი სუიციდამდე.

იანვარში ჩვენი გაზეთი განაახლებს გამოსვლას, სასნავლო პროცესიც განახლდება, მაგრამ ღუჯასთვის ალარ... „ამ ცხოვრების დედაც!“

ეროვნული ჯილდო

ლოგიკური სივრცე კამპანიის სტარტისთვის
განათლების სისტემის თანაბარი განვითარების ხელშეწყობა

ლალი ჯელაძე

მასწავლებლის ეროვნულმა ჯილდომ 2020 წლის კამპანია, განსხავავებული ფორმატით, ჩხოროწყუს მე-10 საჯარო სკოლაში გახსნა. მეოთხე სეზონის რეგიონის სკოლაში დაწყების უმთავრეს მიზეზებს შორის, რამდენიმე მთავარი შეიძლება გამოვყოთ. **ირინა ხანთაძე** ამბობს, რომ: *„კამპანიის აქ გახსნის უპირველესი მიზეზი ის არის, რომ თუ მასწავლებლის ეროვნული ჯილდო ეროვნული პროექტია, ალბათ, დედაქალაქში არ უნდა ჩავიკეტოთ. მეორე, ასევე მნიშვნელოვანი მიზეზი საზოგადოების გამოწვევას უკავშირდება – ჩვენ გვჭირდება ქვეყნის და განათლების სისტემის თანაბარი განვითარება. ამით გვინდა, ეს საკითხი კიდევ უფრო აქტუალურად წარმოვაჩინოთ. გარდა ამისა, სკოლა არის, ალბათ, ყველაზე ლოგიკური სივრცე და ადგილი, სადაც ეს კამპანია უნდა იწყებოდეს და კარგია, რომ მეოთხე სეზონზე ამას მივხვდით. ასევე, სიმბოლურია ის ფაქტი, რომ ჩვენ ვიმყოფებით აფხაზეთის მე-10 საჯარო სკოლაში, სადაც უკვე ოც წელზე მეტია აფხაზეთიდან დევნილი ჩვენი თანამემამულეები სწავლობენ. გვინდა, აქ ყოფნით მათ მიმართ სოლიდარობა, თანადგომა გამოვხატოთ. ჩვენი ქვეყნის დეოკუპაცია, გამთლიანება ყველასთვის ერთნაირი ტკივილია და, რა თქმა უნდა, მასწავლებლის ეროვნული ჯილდოსთვის ეს თემა ყოველთვის პრიორიტეტული და აქცენტირებული იქნება.“*

ეროვნული ჯილდოს მესვეურები აფხაზეთის მე-10 საჯარო სკოლიდან კამპანიის დაწყების მიზეზად 2019 წლის ეროვნული ჯილდოს ათეულის წევრის, **მელორ ცქვიტაიას** ფაქტორსაც ასახელებენ, რომელიც ამ სკოლის პედაგოგია. *„ის არა მხოლოდ კარგი მასწავლებელია, გამორჩეული მოქალაქე და თემის ლიდერია. ვფიქრობ, მის საქმიანობაში ძალიან კარგად ჩანს, როგორ შეიძლება იყოს სინერგიული რეგიონის განვითარებაზე ზრუნვა და საგანმანათლებლო საქმიანობა. თავისი პროფესიული საზოგადოებრივი საქმიანობით, ის ამის დემონსტრირებას ახდენს და ბევრისთვის ეს კარგი მაგალითია.“* – ამბობს ირინა ხანთაძე და განსაკუთრებულ მადლობას უხდის სკოლას, მთელ კოლექტივს - მასწავლებლებს, მოსწავლეებს, სკოლის ხელმძღვანელს, ბატონ ნუგზარს მხარდაჭერისთვისა და მიღებისთვის, იმისთვისაც, რომ ამ სკოლაში მასწავლებლებს შესაძლებლობა აქვთ, თავიანთი ნიჭი და უნარები განავითარონ, მაქსიმალურად დაიხარჯონ მოსწავლეებისთვის.

ჯილდოს ხელმძღვანელები იმედოვნებენ, რომ წელს ამ პროცესში კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთვება საზოგადოება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია აპლიკანტისთვის. ერთია, როდესაც მასწავლებელი თავად წარადგენს თავს, მაგრამ სულ სხვაა, როდესაც სხვა ადამიანები ფიქრობენ, რომ ის, თავისი საქმიანობით, იმსახურებს იყოს ამ პროცესის მონაწილე. ამიტომ მოუწოდეს საზოგადოებას, მისცენ მასწავლებლებს სტიმული, ჩაერთონ ჯილდოს კონკურსში და აჩვენონ თავიანთი შესაძლებლობები.

ეროვნულ ჯილდოზე რეგისტრაციის პროცედურებში არაფერი შეცვლილა, ერთი რამის გარდა – ძალიან მკაფიო საკითხზე იქნება აქცენტი: *„ვიცით, რომ გამოწვევები გვაქვს განათლების სფეროში და ქართული სკოლა მხარდაჭერას საჭიროებს. ახალი ენერგია გვჭირდება, რომ ეს წრე გავარღვიოთ – გვჭირდება არა მხოლოდ განვითარება, არამედ სწრაფი განვითარება. ამისთვის კარგია, თუ სკოლაში ახალ სახეებს ვიხილავთ და უფრო მეტ ახალგაზრდა მოტივირებულ, მონდომებულ ადამიანს მოუნდება პროფესიაში შესვლა. შესაბამისად, ჩვენი ერთ-ერთი წლევანდელი აქცენტი ახალგაზრდა კადრების წახალისება იქნება, რომ ჩაერთონ განათლების სისტემის განვითარების მარათონში, შეუერთდნენ მასწავლებელთა კორპუსის დიდ არმიას. ამ მარათონის გახსნას 2019 წლის მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს გამარჯვებულს, გიორგი ჭაუჭიძეს გადავაბარებთ. 18 დეკემბერს ამ კამპანიის ნაწილს მისი საჯარო ლექციით – 13 მიზეზი, რატომ უნდა გავხდე მასწავლებელი – გავხსნით. ვფიქრობ, ის ხედვა, რომელსაც გიორგი ახალგაზრდებს შესთავაზებს, საინტერესო, დამაფიქრებელი იქნება და დაგვეხმარება, ეს დისკუსია ქვეყანაში უფრო გავაფართოვოთ, გავაძლიეროთ და ეროვნული ჯილდო ამ დისკუსიის პლატფორმად გამოვიყენოთ.*

კამპანია დღეიდან იწყება, პლატფორმა ღიაა, ნომინირების პროცესი უკვე დღესვე შეიძლება დაიწყოს, ასე რომ, ყველამ, თუ გულში გეგულებათ თქვენი რჩეული, არ დაიზაროთ, წარმოადგინეთ იგი და ამ სახით დაუჭირეთ მხარი მასწავლებლის ეროვნულ ჯილდოს და, ვფიქრობ, ჩვენს ქვეყანასაც, იმიტომ, რომ მომავალი განათლებაშია.“ – ამბობს ირინა ხანთაძე.

ჯილდოს გახსნის ცერემონიალი, ბუნებრივია, მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს სახეების გარეშე ვერ ჩაივლიდა. სცენა დაუთმეს წლევანდელ გამარჯვებულს, „თავისუფლების გაკვეთილების ქართულ სიმბოლოს“, **გიორგი ჭაუჭიძეს**. მან ამჯერადაც განსხვავებული მოსაზრებით მიიქცია ყურადღება: *„როდესაც ყველა ქართველს (შეიძლება ვაჭარბებ, მაგრამ გადავაჭარბო, მერე რა, ცუდს ხომ არ ვამბობ), ქალაქ სოხუმში და, ზოგადად, აფხაზეთში, მასწავლებლის სახით, გვეყოლება ისეთი თუნდაც ორი ადამიანი, რომელიც ძალიან გვეყვარება, ალბათ, ჩვენთვის გაიხსნება ჩარაზული კარი და მოგვეცემა იმის საშუალება, რომ სოხუმშიც დაიწყოს ასეთი კამპანია. თითქოს ამოცანად მინდა დავისახო, მერე რა, რომ საზღვრები ჩაკეტილია, დღეს ადამიანებს შორის სხვაგვარად დაკავშირებაც შესაძლებელია. ჩემი დიდი სურვილია, ამით ერთგვარი ხიდის გადება შევძლოთ.“*

კოალიციის დირექტორმა, **გიორგი ჭანტურიამ** აღნიშნა: *„ეს ადამიანი ყოველთვის რაღაც ისეთს იტყვის, რომ სხვა კუთხით დაგანახებს მოვლენებს, ამჯერადაც მოახერხა სხვა კუთხით დაველაპარაკინეთ ბევრ თემაზე. მადლობა გიორგის ამისთვის. ამ ინიციატივით, გარკვეულწილად, მან მოვლენებსაც გაასწრო.“*

პირველი ეროვნული ჯილდოს მფლობელმა, **ლადო აფხაზავამ** კი მოუწოდა მასწავლებლებს, შეავსონ აპლიკაცია და პრაქტიკის გასაზიარებლად გამოიყენონ ეროვნული ჯილდოს საუკეთესო პლატფორმა: *„ერთი თანამშრომელი მყავდა, რომელსაც ხშირად მოჰქონდა ამბები იმის შესახებ, მაგალითად, ქელეხში როგორი უმარილო საჭმელი ჰქონდათ ან გადამეტებული წიწაკით. ბუნებრივია, ვუსმენდით და ვხალისობდით. მყავდა მეორე კოლეგა, რომელიც ხშირად დადიოდა ტრენინგებზე, სკოლაში დაბრუნებული კი, მთელი დღე დაგვდევდა და გვიხსნიდა, რას ნიშნავს პროექტული სწავლება, რომ თანამშრომლობა ამას ჰქვია, ინიციატივა – ამას... და ა.შ. მოსვენებას არ გვაძლევდა. სამი წელი გვსდია ამ მასწავლებელმა და ამ სირბილში დაიღალა. ერთ დღეს სხვა სკოლაში გადავიდა და, თითქოს, ობლები დაგვტოვა, რადგან მივხვდით, რომ პროფესიული გაზიარება ყველაზე მნიშვნელოვანი ყოფილა ჩვენთვის. მერე მოვიწყინეთ და დავაფასეთ კოლეგა, რომელიც ზრუნავდა სკოლის განვითარებაზე, მასწავლებლების განვითარებაზე. ჩვენ დღეს, კოალიციის სახით, გვაქვს პლატფორმა, სადაც შეიძლება ერთმანეთს გაეუზიაროთ გამოცდილება. არ ვიცი, დაიჯერებთ თუ არა, მაგრამ სახლში გათენება მენატრება, მენატრება ყოფნა იმ პატარა „ქუხნა-სახლში“, სადაც ჩემი მშობლები ცხოვრობდნენ. იმიტომ, რომ სულ დავდივარ. ბევრი სიხარული და შრომა ახლავს ეროვნული ჯილდოთი მოტანილ აღიარებას, გადატვირთული გრაფიკით მუშაობა, მაგრამ ეს ძალიან სასიამოვნო და საჭირო საქმეა, რომელსაც, პირველ რიგში, ბავშვებისთვის ვაკეთებთ.*

წელს ველოდები, რომ სამეგრელოდან ძალიან ბევრი აპლიკაცია შეივსება, იმიტომ, რომ სამეგრელოდან იწყება სწორედ 2020 წლის კამპანია, რაც რეგიონისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მიხარია, რომ მელორმა, ჩემი შექებებით, შეავსო აპლიკაცია, წელსაც მყავს სამეგრელოში ჩემი რჩეული მასწავლებელი,

რომელსაც აუცილებლად წარვადგენ.

მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ათეულთა კლუბში, ჩემსავით, არიან მასწავლებლები, რომლებსაც ის კი არ უნდოდათ, რომ ვიღაცას შეექო, არამედ მათი უპირველესი მიზანი იყო პრაქტიკის გაზიარება. აი, მაგალითად, აქ გვესწრებიან თამარ ადამია, გიორგი ჭაუჭიძე, რომლებიც უკვე მასტერკლასებს ატარებენ და, შესაბამისად, დაიწყეს თავიანთი პრაქტიკის გაზიარება. ძალიან მიხარია, როცა კოლეგები სხვადასხვა სკოლაში გვიწვევენ ჯილდოს მონაწილეებს პრაქტიკის გასაზიარებლად. წელს ჩვენ თავისუფლების გაკვეთილების მასწავლებელი ავირჩიეთ და დიდი მადლობა მას ასეთი თავისუფლებისთვის – ბავშვებს, სკოლას, მასწავლებლებს, ადმინისტრაციას – ყველას სჭირდება თავისუფლება, რომ თავისი საქმე ხარისხიანად აკეთონ.

მოგიწოდებთ, აპლიკაცია იმიტომ კი არ შეავსოთ, ვინმესთან თავი მოიწონოთ, არამედ იმისთვის, რომ სხვას გაუზიაროთ. ათეულთა კლუბში უკვე ოცდაათი მასწავლებელია და დარწმუნებული ვარ, თავის დროზე, ოცდაათივე აპლიკაციას სწორედ ამ მიზნით ავსებდა. ძალიან პატარა აქტივობამ, რომელსაც თქვენ უმნიშვნელოდ მიიჩნევთ, შეიძლება მსოფლიოც კი მოგაგებინოთ. ჩემს პრაქტიკაში იყო ასეთი რამ, ბავშვებს, რომლებიც არ სწავლობდნენ, ხშირად ვეუბნებოდი – იცი, რა მაგარი მასწავლებელი გამოხვალ, მაგალითად, ფილოლოგი ან მათემატიკოსი. გაოცებული მპასუხობდნენ, მასწავლებელო, მე და ფილოლოგი? ხშირად ასეთ პატარა მესიჯებს ვაძლევდი მათ დასაფიქრებლად. აქედან გამომდინარე, ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რომ ჩვენ, მასწავლებლებმა, არ ვიფიქროთ საიდან მოდიან მოსწავლეები, არამედ ვიფიქროთ იმაზე, სად მიგვყავს. იფიქრეთ, საით მიგყავთ თქვენი მოსწავლეები, რა გზებით ატარებთ და ეს გზები გაგვიზიარეთ.“

ჩხოროწყუს რესურსცენტრის უფროსი **ლია ჯალაღონია**, მი-

ეროვნული ჯილდო

უხედავად იმისა, რომ მე-10 საჯარო სკოლა მის რესურსცენტრს დაქვემდებარებულ სკოლებში არ შედის, ღონისძიებას ესწრებოდა და მადლობა გადაუხადა ეროვნული ჯილდოს წარმომადგენლებს, კამპანიის ჩხოროწყუში გახნის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებისთვის და ჯილდო მაღალი ხარისხის კონკურსად შეაფასა: *„მე გარედან, ამ პატარა ქალაქიდან, მაყურებლის თვალით ვიტყვი, რომ ეს არის ხარისხიანი ბრენდი. პირველ რიგში, იმიტომ, რომ ძალიან მაღალია საზოგადოების ჩართულობა და არ ვგულისხმობ მხოლოდ საგანმანათლებლო სივრცეში მოღვაწე საზოგადოებას. ამის დასტურია თუნდაც ის, როდესაც ყაბალახიანი ლადო აფხაზავას ფოტოებმა მოიცვა სრულიად საქართველოს მოსახლეობის სოციალური ქსელები. ეროვნული ჯილდოს ხარისხზე მეტყველებს ისიც, რომ ერთგვარად სახელმწიფოსაც გადაედო მათგან ეს პათოსი. იცით, როგორი კონკურსი იყო, ცოტა ხნის წინ გახსნილ, მასწავლებლის ეროვნულ სკოლაში მიღებაზე? წარმოუდგენლად ბევრი ადამიანი დაინტერესდა. საკრებულოს თანამშრომლები და სოფლის რწმუნებულებიც კი მოვიდნენ კონკურსზე, ღიად აცხადებდნენ, რომ უნდოდათ სკოლაში მასწავლებლად მუშაობის დაწყება. რაც მთავარია, ახალგაზრდები მოვიდნენ, ძალიან ნიჭიერები, მოტივირებულები – ყველაზე სწავლებადი რესურსი. ესეც იმის მანიშნებელია, რომ ყინული დაიძრა და ეს, თითქოს არაფრით მიმზიდველი, პროფესია, რომელიც მოდური არ იყო, პოპულარული გახდა ახალგაზრდებში. კიდევ ერთხელ გეტყვით, რომ ამ პოპულარიზაციას ეროვნული ჯილდოს კონკურსმა ბევრად შეუწყო ხელი. საერთოდ, კონკურსს ისეთი თვისება აქვს, რომ თუ არასწორად ჩატარდა, ნეგატიური შედეგები გაცილებით მეტი მოჰყვება, ვიდრე პოზიტიური. ამ შემთხვევაში კი, პოზიტიურმა მთლიანად გადაფარა ნეგატიური მხარე.“*

2020 წლის მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს კამპანიის გახსნა სკოლის მოსწავლეების გამოსვლით დასრულდა, ბიჭუნათა გუნდმა სტუმრებისთვის იმღერა, თუმცა, მათი კარგი გამოსვლა აღარავის გაკვირვებია, რადგან სკოლის ეზოში შევადგით თუ არა ფეხი, ბავშვების სიმღერა გაისმა. სტუმრებს „თვითორგანიზებული კონცერტით“ გვხვდებოდნენ – სკოლის წინ, შუა ეზოში შექუჩებული ბავშვები გიტარას უკრავდნენ და, თითქოს არაფერი, ისე მღეროდნენ თავისთვის, ერთი პატარა ბიჭი კი თავგამეტებით უკრავდა დოლს. აშკარად იგრძნობდი მოსწავლეების მოჭარბებულ მუსიკალურობას, რაც არც ღონისძიების ორგანიზატორების ყურადღების მიღმა დარჩენილა.

„დაახლოებით ერთი თვის წინ, პირველად რომ ჩამოვედით, გამოაცა ამ სკოლის მოსწავლეების მუსიკალობამ, არა მარტო იმან, რომ ბავშვები ფლობენ საკრავებს და მღერიან, არამედ უფრო იმან, თუ როგორ უყვართ მუსიკა – ეს ბავშვები, შეიძლება ითქვას, თვითორგანიზებული მუსიკალური ჯგუფია. ნამდვილად ძალიან შთამბეჭდავი იყო ეს ჩვენთვის. მუსიკა და, ზოგადად, ხელოვნება პიროვნების განვითარების და თავისუფალი ადამიანის ფორმირების პროცესის ძალიან მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ამიტომ არ გვინდოდა აქედან ისე წასვლა, რომ ამ მუსიკის მოყვარული ბავშვებისთვის რაიმე საჩუქარი არ გაგვეკეთებინა, ჩვენ მათ ელექტრონული პიანინო ჩამოვუტანეთ“ – აღნიშნა ირინა ხანთაძემ.

თითქოს არაფრით გამორჩეულ სკოლაში დიდი ემოციური მუხტი ტრიალებს. 2002 წელს დაარსებულ მე-10 საჯარო სკოლას სათავეში უდგას აფხაზეთიდან დევნილი **ნუგზარ ჯომიდავა**, რომელიც აფხაზეთშიც დირექტორად მუშაობდა – მერხეულის მ.ა. ლაკერბაიას სახელობის საშუალო სკოლის დირექტორად, სადაც ორი სექტორი ფუნქციონირებდა – სომხურ-ქართული. როგორც ყველა დევნილი, ბატონი ნუგზარის ოჯახიც შემთხვევით აღმოჩნდა საცხოვრებლად ჩხოროწყუს რაიონში, თუმცა, როგორც თავად ამბობს, ამას მხოლოდ შემთხვევითობას ვერ დავარქმევთ, რადგან მისი წინაპრებიც სწორედ ამ რაიონიდან იყვნენ წარმოშობით. გარკვეულწილად, მათი სურვილიც იყო, აქ დასახლებულიყვნენ. ბუნებრივია, დიდი ხნის პედაგოგიური გამოცდილების მქონე ადამიანისთვის განათლების სფეროში მუშაობა ყველაზე სასურველი იყო. *„სკოლაში მუშაობის დიდი ხნის გამოცდილება მქონდა და, ბუნებრივია, დაინტერესებული ვიყავი აქ სკოლის გახსნით. შენობის მესაკუთრე ძალიან ქველმოქმედი ადამიანი აღმოჩნდა და ჩემს ოცნებას – გაგვეხსნა სკოლა – ფრთები შეასხა, შემომთავაზა, ამ შენობაში აფხაზეთის მე-10 საჯარო სკოლა გაგვეხსნა. მაშინ განათლების განყოფილების გამგედ გოგი ახალაია მუშაობდა, რომელმაც ხელი შეგვიწყო და, ყოველგვარი გადასახადის გარეშე, დაგვითმეს შენობა.*

სკოლა, ძირითადად, დევნილი ოჯახების მოსწავლეებისგან დაკომპლექტდა. ამჟამად 272 მოსწავლე გვყავს და თითქმის ნახევარი დევნილი ოჯახებიდანაა ისევე, როგორც მასწავლებლების ნახევარი. შენობა, რომელშიც მე-10 სკოლა ფუნქციონირებს, ჩვენი საკუთრება რომ გახდეს, მხარდაჭერა გვაქვს სამინისტროსგან, სწორედ ახლა მიდის ამ საკითხის განხილვა და მოლაპარაკებები. დარწმუნებული ვართ, საკითხი ჩვენს სასიკეთოდ გადაწყდება.“ – ამბობს სკოლის დირექტორი.

ყოველწლიურად, სკოლას, საშუალოდ, 30-მდე მოსწავლე ამთავრებს, მათგან უმრავლესობა, მხოლოდ მცირე გამონაკლისის გარდა (შეიძლება 1 ან 2 მოსწავლე იყოს), უმაღლეს სასწავლებლებში აგრძელებს სწავლას. გრანტით ჩარიცხული აბიტურიენტების რიცხვიც დიდია, მეტიც, ასპროცენტიანი გრანტის მფლობელი კურსდამთავრებულებიც ჰყავთ. სკოლის დირექტორი ამბობს, რომ მოსწავლეთა მიღწევებს პროფესიონალი მასწავლებლები განაპირობებენ. 26 მასწავლებლიდან, თითქმის, ყველა სერტიფიცირებულია, მხოლოდ 3 პრაქტიკოსი იყო დარჩენილი და მათაც, შემოდგომის ტესტირებისას, ჩააბარეს გამოცდები, ახლა შედეგებს ელოდებიან. *„მე ჩემი მასწავლებლების იმედი ყოველთვის მაქვს და მათი მიღწევებიც არ აყოვნებს. დღევანდელი ღონისძიების აქ ჩატარებაც ამის ერთგვარი დასტურია – ეროვნული ჯილდოს ათეულის წევრი მელორ ცქვიტაია. ამ ეტაპზე, მარტო სკოლის შენობის შესყიდვა გვჭირდება, დანარჩენს, ჩვენი ძალებითაც შევძლებთ ისე, როგორც აქამდე შევძელით ბევრი რამ.“* – ამბობს ბატონი ნუგზარი.

დირექტორისთვის სკოლას, საგანმანათლებლო დაწესებულების გარდა, სხვა ემოციური, მორალური და პოლიტიკური დატვირთვაც აქვს – ერთგვარი ბმაა აფხაზეთთან, რომელიც ისეთივე აქტუალურია სკოლაში თითოეული მასწავლებლისთვის და მოსწავლისთვის, როგორც პირადად მისთვის. *„ეს სკოლა ჩემთვის ერთგვარი სიამაყეა, გაუწყვეტელი კავშირია ჩემს აფხაზეთთან. მერწმუნეთ, არც ერთი დღე და გაკვეთილი არ ჩაივლის ისე, რომ ბავშვებს აფხაზეთის შესახებ არ შევახსენოთ. აფხაზეთი ჩვენს სკოლაში მუდმივად აქტუალურია, ჩვენ სიყვარულს ვასწავლით, ჩვენი ქვეყნის სიყვარულს, რომელიც აფხაზეთის გარეშე არასრულყოფილია.“*

სკოლაში რომ აფხაზეთი ემოციური თემაა და ნოსტალგია ძლიერია, ეს მოსწავლეებისგანაც ვიგრძენი. ეზოში შეკრებილ ბავშვებს გამოველაპარაკე, უფროსები არ მოვაცდინე, რადგან წრე ჰქონდათ შეკრული და, როგორც გითხარით, გიტარაზე უკრავდნენ და მღეროდნენ. უფრო პატარები თვითონ შემომესივნენ. ვისაუბრეთ, მერე ვთხოვე, თქვენი ოცნებები მითხარითმეთქი. ჯერ თავი შორს დაიჭირეს, მერე ჩვენი კომუნიკაცია იოლად შედგა.

7 წლის **მათე კაჭარავა** მიმხელს ოცნებას, რომ მზარეული უნდა გამოვიდეს და მეორე ოცნებას – უნდა, რომ ცეკვა იცოდეს; მეოთხეკლასელი **მაკა სორდიასთვის**, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, რომ მშობლები იყვნენ ჯანმრთელები, ძალიან უნდა სხვებიც ჯანმრთელები იყვნენ; მეექვსეკლასელი **ანა ესართია** საფრანგეთში მოგზაურობაზე ოცნებობს და აფხაზეთის დაბრუნება სურს, მომავალ პროფესიად კი ორთოდონტობას ირჩევს; **ლიზი მირცხულავა** რომ გაიზრდება, სტომატოლოგი გახდება, მისი მთავარი ოცნება აფხაზეთის დაბრუნებას უკავშირდება. ლიზის ოჯახი სოხუმიდანაა, ამბობს, რომ დედა, მამა, ბებია და ბაბუა სოხუმში ცხოვრობდნენ, მერე გამოაძევეს. ოჯახმა ჯერ თბილისში იცხოვრა, მერე ჩხოროწყუში გადმოსახლდნენ. ლიზი მიყვება: *„აქ გავიზარდე, ორი ძმა მყავს. ჩემს ოჯახში აფხაზეთზე ხშირად ლაპარაკობენ, მე უფრო სახალისო ისტორიებს მიყვებიან, მაგრამ ხანდახან სევდიანსაც. ძალიან შემაყვარეს აფხაზეთი და ვოცნებობ სოხუმში ჩასვლაზე“*; **ლიკა კორსანტიას** ოჯახიც აფხაზეთიდანაა, კერძოდ გალიდან. ის აჩიგვარას სკოლაში ორი წელი სწავლობდა, მაგრამ რადგან მხოლოდ რუსულ და აფხაზურ ენებზე სწავლობდნენ, ოჯახმა აქ გადმოსვლა გადაწყვიტა, რომ შვილებს ქართულად მიეღოთ განათლება. *„იქ ცხოვრება როგორია?* – ფიქრობს ლიკა – *რა ვიცი, ჩვეულებრივი, უფრო სწორად, თუ არ შეაწუხე ვინმე, არც შენ შეგაწუხებენ.“* სკოლაში ყველაზე კარგად მათემატიკას სწავლობს, თუმცა, უნდა, რომ მომღერალი გამოვიდეს, პარიზში მოგზაურობაზე ოცნებობს; **ლადო დარსალია** მეუბნება, რომ აფხაზეთიდან არ არის წარმოშობით, მაგრამ ყველაზე მეტად აფხაზეთის დაბრუნებაზე ოცნებობს, და კიდევ, უნდა, რომ საქართველოს მოსახლეობა ჯანმრთელად იყოს: *„მე მინდა, აფხაზეთი დავიბრუნოთ და ჩემი ქვეყანა ისევ იყოს გადაჭიმული ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“*; **თეკლე კაჭარავა** აუცილებლად არქეოლოგი გახდება, რადგან იზიდავს ისტორია და სიძველეების შესწავლა. მისი ოჯახი აფხაზეთიდან არ არის, ადგილობრივი მკვიდრია, მაგრამ სწავლა მაინც აფხაზეთის მე-10 საჯარო სკოლაში გადაწყვიტა, რადგან ეს სკოლა გამორჩეულია ჩხოროწყუში. სოფო მასწავლებელმა და მელორ მასწავლებელმა კი მას სახელი კიდევ უფრო გაუთქვეს; მეთორმეტეკლასელი **საბინა კაჭარავა** ამბობს, რომ ეს სკოლა, სადაც ბევრი წელი გაატარა, გარდა იმისა, რომ კარგი განათლება მიიღო, ძალიან მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ იქცა ადგილად, სადაც ისწავლა როგორ გაიჩინოს მეგობრები, როგორ იყოს თავისუფალი და როგორ მიიღოს ადამიანები ისეთებად, როგორებიც არიან. *„აფხაზეთის მე-10 საჯარო სკოლა იქცა სივრცედ, რომელმაც კონკრეტული საგნების სწავლების გარდა, ცხოვრებისთვის მომამზადა, პირველ რიგში, დამანახა რისი გაკეთება მსურს – პროფესიის არჩევაში დამეხმარა, მინდა მასწავლებელი გავხდე. დღევანდელმა დღემ ჩემი არჩევანი კიდევ უფრო განამტკიცა. მეც მინდა მალე შევუერთდე ამ ადამიანებს, მასწავლებლებს და მათთან ერთად ვემსახურო ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვან პროფესიას. მინდა ზუსტად ისეთი მასწავლებელი ვიყო, როგორებიც ჩემი მასწავლებლები არიან, განსაკუთრებით გამოვყოფდი მელორ და სოფო მასწავლებლებს. ისინი ის ადამიანები არიან, რომლებმაც ჩემში გარდატეხა მოახდინეს, ბევრი რამ მასწავლეს, რამაც ცხოვრებაში გეზი მომცა. სოფო ის ადამიანია, რომელმაც დამარწმუნა, რომ ის, რაც მსურს და გულით ვაკეთებ, აუცილებლად გამომივა. ეს ერთგვარი მოტივაცია გახდა, გავხდე მასწავლებელი.“*

მელორ ცქვიტაია აფხაზეთის მე-10 საჯარო სკოლაში დაარსების დღიდან მუშაობს, ამბობს, რომ სკოლა და ბავშვები მისთვის ყველაფერია. *„ისინი სტიმულს მაძლევენ ვიყო, ვიარსებო, ვიმუშაო და რაიმე სასარგებლო ვაკეთო, ვიფიქრო ხვალინდელ დღეზე“.*

ეროვნული ჯილდოს საუკეთესო ათეულში მოხვედრამ უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა მის პროფესიულ განვითარებაში. *„ამ კონკურსში მონაწილეობა, ალბათ, ყველა მასწავლებლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. თავდაპირველად, როცა საპლიკაციო ფორმას ავსებ, უხერხულობას განიცდი იმიტომ, რომ იცი შენ გვერდით ძალიან ბევრი ღირსეული მასწავლებელია, რომელსაც შეიძლება უფრო მეტად ეკუთვნოდეს იქ წარდგენა. მაგრამ ესეც ერთგვარი გამოხატულებაა – იდგე შენს პროფესიაში კიდევ ერთი საფეხურით მაღლა და სხვებს მისცე იმის მაგალითი, რომ სცადონ. ჩვენ გარშემო მართლაც არაჩვეულებრივი მასწავლებლები არიან, მაგრამ ნაჭუჭში იკეტებიან. ჯილდო გაძლევს იმის შანსს, რომ გაიხსნა, არ გაჩერდე და იმოქმედო.*

კონკურსმა ბევრი რამ შეცვალა ზოგადად ჩემს ცხოვრებაში, კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ საკეთებელი ძალიან ბევრია. თავდაუზოგავად უნდა იშრომო იმისთვის, რომ მოსწავლეებს ხარისხიანი განათლება მისცე. ყველაზე მეტი კი, ალბათ, რაც კონკურსმა მომცა, არის ის, რომ მოვხვდი საუკეთესო მასწავლებელთა სივრცეში, სადაც ძალიან ბევრს ვსწავლობ.“

ჯილდოს კამპანიის აფხაზეთის მე-10 საჯარო სკოლიდან დაწყებას მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რადგან ფიქრობს, რომ ასეთი მასშტაბური ღონისძიების რეგიონის ერთი პატარა, ვიზუალურად არაფრისმთქმელი, ფასადშელახული სკოლიდან დაწყება ახლა სხვა დატვირთვასაც იძენს – ეს აფხაზეთის სკოლიდან ერთგვარი ანტისაოკუპაციო აქტივობაა, რომელიც ძალიან საჭირო და აქტუალურია დღევანდელი საქართველოსთვის.

ПРОФЕСИУЛИ ГАНВИТАРЕБА

ახალი კანონი და სისტემის მთავარი ფიგურა

ანა ფირცხალაიშვილი

საქართველოს მთავრობის მიერ პროფესიული განათლება პრიორიტეტულ დარგადაა დეკლარირებული. მიუხედავად ამისა, წლების განმავლობაში, სისტემაში მიმდინარე ცვლილებებმა მხოლოდ ფრაგმენტული ხასიათის წარმატებები განაპირობა, ძირეული ცვლილება ამ სფეროში ისევ არ გვაქვს. სწორედ ეს გახდა გასულ წელს ახალი კანონის მიღების საფუძველი, რომლის სხვადასხვა მიმართულებების შესახებ არაერთი სტატია გამოქვეყნდა ჩვენს გაზეთში.

ამჯერად, სისტემის მთავარი ფიგურის, პროფესიული მასწავლებლის როლის შესახებ გვესაუბრება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და დირექტორების განვითარების სახელმწიფო პროგრამის მენეჯერი ნინო ელგაქიძე.

– ახალი კანონით რა შეიცვალა პროფესიულ მასწავლებელთან მიმართებაში. რითია ეს ცვლილება მნიშვნელოვანი და უკეთესი?

– კანონი პროფესიული განათლების შესახებ 2018 წელს იქნა მიღებული და ის, თავის მხრივ, ბევრი სიახლის დანერგვის საფუძველი გახდა სისტემაში. გარდა პროფესიული განათლების მოდერნიზაციისა, კანონი ასევე მიზნად ისახავს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიულ განვითარებასა და პროფესიის პრესტიჟის ამაღლებას განვითარების გზით. ახალმა კანონმა შესაძლებელი გახადა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების სისტემა ჩამოყალიბდეს, როგორც ცალკე დოკუმენტი, რომელიც ექვემდებარება კანონს.

კანონი პროფესიული განათლების შესახებ ამგვარად განმარტავს მასწავლებლის პროფესიას:

„პროფესიული განათლების მასწავლებელი არის პირი, რომელიც სასწავლო პროცესს წარმართავს პროფესიული განათლების ფარგლებში. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ საქმიანობის დაწყება, მისი პროფესიული განვითარება და კარიერული წინსვლა ხდება პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის წესისა და პირობების შესაბამისად.

პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის წესი და პირობები განსაზღვრავს:

ა) პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების წესსა და პირობებს;

ბ) პროფესიული განათლების მასწავლებლის სახეებს;

გ) პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების კრიტერიუმებსა და წესს;

დ) პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.“

– მოჰყვა თუ არა რეალური ცვლილება ახალ კანონს, რა განხორციელდა, ერთი წლის განმავლობაში, პროფესიული განვითარების კუთხით?

– 2019 წელს, გაერთიანებული სამეფოს კარგი მმართველობის ფონდის დაფინანსებით და მსოფლიო ბანკის მიერ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობით, მიმდინარეობს პროექტი „მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში“. პროექტის ფარგლებში მზადდება მასწავლებლის სტანდარტი, ეთიკის კოდექსი და პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიის რეგულირების დოკუმენტი. პროექტში ჩართულები არიან უცხოელი ექსპერტები და გვიზიარებენ გამოცდილებას, პროფესიული მასწავლებლის მომზადების საუკეთესო გამოცდილებების შესახებ. უცხოელი ექსპერტების მიერ შემოთავაზებული გამოცდილება თანხმდება იმ არსებულ გამოწვევებთან, რომლებიც არსებობს პროფესიული მასწავლებლების წინაშე, რათა შემუშავდეს მასწავლებლების საჭიროებებსა და თანამედროვე სტანდარტებზე მორგებული პროფესიის რეგულირების ფორმირება.

მიმდინარეობს სამუშაო შეხვედრები მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენებლთან, მათი მოსაზრებების მოსასმენად და გასათვალისწინებლად, დოკუმენტზე მუშაობის დროს. პროფესიული მასწავლებლის სტანდარტსა და რეგულირების დოკუმენტზე მუშაობის პარალელურად, პროექტის ფარგლებში, მასწავლებელთა ანაზღაურების ახალი წესიც მუშავდება, რომელიც მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე იქნება მორგებული.

– პედაგოგების როგორი კონტინგენტი გვყავს, დღეისათვის, პროფესიულ განათლებაში – აკმაყოფილებენ თუ არა თანამედროვე მოთხოვნებს?

– თანამედროვე მოთხოვნებია თავად დინამიური და სწრაფად ცვალებადი. შესაბამისად, თანამედროვე მოთხოვნებიც ერთგვარად სუმბურული და არც თუ ისე მკაფიოდ გასაგები ცნებაა. მასწავლებლის სტანდარტი ან ნებისმიერი პროფესიის სტანდარტი აძლევს საშუალებას პროფესიის წარმომადგენელს, რომ გააკეთოს თვითშეფასება და დაგეგმოს საკუთარი პროფესიული განვითარება. დღეისათვის, პროფესიაში არსებული მასწავლებლების ასაკობრივი ზღვარი ძალიან მრავალფეროვანია. გვყავს როგორც 21, ასევე 70 წელს ზემოთ მასწავლებლები. მასწავლებლის კომპეტენტურობა მხოლოდ ასაკზე არანაირად არ არის დამოკიდებული. ასაკის აღნიშვნა იმის გამოა მნიშვნელოვანი, რომ პროფესიაში ახალი კადრების შემოდინების საჭიროება გვაქვს მწვავედ.

პროფესიულ განათლებაში კიდევ ერთი დიდი სიახლე გვაქვს – ეს არის ზოგადი განათლების კომპონენტის ინტეგრირება პროფესიულ განათლებაში, რაც საშუალებას იძლევა, პროფესიული განათლების მიღებასთან ერთად, სტუდენტმა ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი აიღოს და სწავლა უმაღლეს სასწავლებელში გააგრძელოს. ამ სიახლის შემოტანასთან ერთად, აუცილებელია პროფესიული მასწავლებლების ახალი ტიპის შემოსვლა – პროფესიული მასწავლებელი, რომელიც ზოგადი განათლების კომპონენტებს ასწავლის.

პროფესიული მასწავლებლის პროფესიის რეგულირებაზე მუშაობის დროს, გაჩნდა ასევე პროფესიული მასწავლებლის ახალი კატეგორია – კომპანიის ინსტრუქტორი. კომპანიის ინსტრუქტორს ცალსახად ვერ დავარქმევთ მასწავლებელს, რადგან ის არ არის სასწავლებელში დასაქმებული, თუმცა პროფესიულ სტუდენტთან მუშაობს კომპანიის ფარგლებში.

– პროფესიული მასწავლებელი ერთ-ერთი ყველაზე დინამიური პროფესიაა, აქედან გამომდინარე, ხომ არ არის საჭირო მათი გადამზადება გარკვეული პერიოდულობით. ვინ უზრუნველყოფს ფინანსურად და რა სისტემა გვაქვს მათი პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლისთვის.

– პროფესიული მასწავლებლების განვითარების ღონისძიებები 2011 წლიდან იგეგმება სისტემურად. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ღონისძიებები ორ მიმართულებაზე დაფუძნებით იგეგმება: ერთი მხარე არის მასწავლებელთა აკადემიური საჭიროებები, ხოლო მეორე – სისტემაში მიმდინარე სიახლეები და ცვლილებები. მაგალითად, 2016 წელს, ჩატარდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა აკადემიური საჭიროებების კვლევა, მილენიუმის პროექტთან თანამშრომლობით. ამ კვლევის საფუძველზე, შემუშავდა პროფესიული მასწავლებლის პედაგოგიური კურსი.

მას შემდეგ, რაც სისტემაში მოდულური სწავლება შემოვიდა, განხორციელდა პროფესიული მასწავლებლების გადამზადება მოდულური სწავლების მეთოდებზე. ასევე დაგეგმილია მასწავლებელთა გადამზადება მოდულური სწავლების ფორმებზე და კომპანიის ინსტრუქტორთან თანამშრომლობაზე.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კიდევ ერთი ფორმაა საწარმოში ტრენინგები, რაც გულისხმობს რეალურ სამუშაო გარემოში მასწავლებელთა გადამზადებას. პროფესიული განვითარების ეს ფორმა განსაკუთრებით პოპულარობით სარგებლობს მასწავლებლებში და ყოველწლიურად ხორციელდება პრიორიტეტულ პროფესიებში.

– როგორია პროფესიული მასწავლებლის ცვლის მაჩვენებელი?

– 2019 წელს ჩავატარეთ კვლევა „პროფესიული სასწავლებლის მასწავლებელთა სამუშაოზე აყვანის არსებული პროცედურების დადგენა“, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მასწავლებელთა არსებული რაოდენობისა და არსებული ვაკანსიების შესახებ. კვლევამ აჩვენა, რომ რიგ სასწავლებლებში, ყოველწლიურად, დაახლოებით, 10 ვაკანსია ჩნდება, ზოგან ეს მაჩვენებელი უფრო მაღალი ან უფრო დაბალია. მასწავლებელთა ვაკანსიების რაოდენობა დიდწილადაა დამოკიდებული იმაზე, თუ სად მდებაროებს ესა თუ ის სასწავლებელი. რეგიონებში მასწავლებელთა ცვლა შედარებით უფრო სტატიკურია, ხოლო თბილისში – უფრო დინამიური. ზოგადად მასწავლებელთა რაოდენობა, ბოლო წლების განმავლობაში, საგრძნობლად გაიზარდა. დაარსდა ახალი სასწავლებლების ფილიალები, ასევე, მოდულური სწავლების ფორმამ გამოიწვია ახალი მასწავლებლების შემოდინება პროფესიაში, რამაც მასწავლებელთა რაოდენობა, ბოლო ხუთი წლის მანძილზე, გააორმაგა. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე, შემდეგი მიგნებები გამოიკვეთა:

✔ კოლეჯებში მასწავლებელთა რაოდენობა 8-დან 112-მდე მერყეობს, რაოდენობა დამოკიდებულია სასწავლებლის სიდიდესა და განსახორციელებელ პროგრამებზე;

✔ საშუალოდ ერთ სასწავლებელს უჩნდება, წლიურად, ათი ვაკანსია;

✔ რეგიონის და მაღალმთიანი რეგიონების სასწავლებლებს უჭირთ მასწავლებლების დაინტერესება;

✔ ისეთ პროფილურ კოლეჯებს, როგორებიცაა: სამუსიკო, ტელეხელოვნების, სასპორტო, შემუშავებული აქვთ მასწავლებელთა მოძიების საკუთარი მეთოდები;

✔ უმეტესობა ამბობს, მასწავლებელთა დაქირავება რომ იყოს გამჭვირვალე, საჭიროა ერთიანი საკვალიფიკაციო მოთხოვნები;

✔ სასწავლებლები ვაკანსიას განათავსებენ სასწავლებლის ვებგვერდზე და/ან დახმარებას სთხოვენ ნაცნობებსა და კოლეგებს.

აპელაციის შედეგად შეფასება 1 300-ზე მეტ ნაშრომს შეეცვალა

პრაქტიკოს მასწავლებლებსა და მასწავლებლობის მსურველებს აპელაციის შედეგების ნახვა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე – www.naec.ge – შეუძლიათ.

შემოდგომაზე ორგანიზებული მასწავლებლის კომპეტენციის დადასტურების პროცესი 2 ნოემბრიდან 8 ნოემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა. მასწავლებლის კომპეტენციის დასადასტურებლად დარეგისტრირებული 26 600-მდე აპლიკანტიდან 15 000-მდე პრაქტიკოსი მასწავლებელი იყო.

გასწორებული 27 000-ზე მეტი ნაშრომიდან გასაჩივრდა 2 900-ზე მეტი. დამოუკიდებელი სააპელაციო კომისიის მიერ მათი ხელახლა გასწორების შედეგად შეფასება შეეცვალა 1 300-ზე მეტ ნაშრომს.

შედეგების თაობაზე ცნობის ასაღებად აპლიკანტებმა განცხადებით უნდა მიმართონ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს, კრედიტქულებთან და სტატუსთან დაკავშირებით კი – „მასწავლებლის სახლს“.

წელს პრაქტიკოს მასწავლებლებს კომპეტენციის დადასტურების საშუალება, მასწავლებლობის მსურველებს კი საგნის გამოცდის ჩაბარების უფლება მეორედ მიეცათ. წელს პირველად ტესტირება ივლისის თვეში, ხოლო მომდევნო ჯერზე ნოემბრის თვეში ჩატარდა.

მასწავლებლის კომპეტენციის დასადასტურებლად 2019 წლის შემოდგომაზე ორგანიზებულ ტესტირებაზე, გასულ წელთან შედარებით, ახალ პროფესიაში შემომსვლელთა რიცხვი გაზრდილია 13%-ით, ხოლო 2017 წელთან შედარებით – თითქმის 23%-ით.

შეფასებები

2019 წელი განათლების სისტემაში

2019 წელს განათლების სისტემაში უპრეცედენტოდ ბევრი რეფორმა დაანონსდა, მათგან ნაწილი დაიწყო, ნაწილი, როგორც სამინისტროში განმარტავენ, ვერ მოესწრო. ჩვენს რესპონდენტებს ვთხოვეთ, შეეფასებინათ მიმდინარე წელი.

შალვა ტაბატაძე
CCIIR-ის ხელმძღვანელი, განათლების ექსპერტი:

2019 წელი ჩვეულებრივი, რუტინული წელია, დატვირთული რაღაც ინიციატივებით, რომელთაგან ნაწილი კარგია, ნაწილი კი, უბრალოდ, პიარზე გათვლილი. რეალურად რაიმე გარღვევა 2019-ში განათლების სისტემაში არ გვქონია. შესაბამისად, ვიტყვი, რომ ამ წელმა სისტემას არაფერი განსაკუთრებული არ შესძინა, გარდა ზოგიერთი ინიციატივისა, რომელიც დაიწყო, თუმცა, რამდენად ექნება მას პოზიტიური გაგრძელება და რა შედეგები მოჰყვება, მაინცდამაინც არ ჩანს. გარღვევის თვალსაზრისით სარეფორმო წინადადებები არ ყოფილა, უბრალოდ, წელს იყო უფრო მეტი ინიციატივა, ვიდრე სხვა წლებში.

თამარ მოსიაშვილი
სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, განათლების სპეციალისტი:

2019 წლის მნიშვნელოვან მოვლენად განათლების სისტემის დაფინანსების ზრდა მგონია. კარგი გადაწყვეტილება იყო საგამოცდო რეფორმა, CAT-ის გამოცდების გაუქმება და ეროვნული გამოცდების რაოდენობის შემცირება, მასწავლებელთა ხელფასების ზრდა, სკოლაში ახალი კადრის დასაქმების შესაძლებლობა გაჩნდა.

თუმცა, კვლავ პრობლემურია განათლების სისტემის „განთავისუფლების“ საკითხი. 10 წელი ხდება, რაც სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები გვიმტკიცებენ ცენტრალიზებული მართვის ეფექტურობას, თითქმის ყოველწლიურად ვიგებთ ახალი ინიციატივების შესახებ, რომელიც ზარზეიმით წარედგინება საზოგადოებას. ყოველწლიურად, შეფასების გარეშე, იხურება ძველი ინიციატივები. თუ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების უკიდურესად რეგულირებული და ცენტრალიზებული სქემა იყო განვითარების მაშველი რგოლი, ახლა „ახალი სკოლის მოდელმა შეითავსა“ მაშველი რგოლის ფუნქცია.

სისტემის განვითარების საფუძველი კი თავისუფლება და დეცენტრალიზაციაა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ დემოკრატიული ქვეყნის აშენება გვინდა, ბოლო 10 წელია ამას გვიმტკიცებენ სხვადასხვა პარტიის წარმომადგენელი მინისტრები.

ეკატერინე წულუკიძე
ფარის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი:

ზოგადი სურათით თუ ვიმსჯელებ, წლევანდელი წელი ცოტა არეულ-დარეული წელი მგონია სისტემისთვის. თუნდაც სქემის არსებული სახით მოულოდნელი შეწყვეტა, რამაც ბევრი მასწავლებელი დატოვა საფრთხის წინაშე, რომ განათლების სისტემის მიღმა დარჩეს. ვერ ვიტყვი, რომ ეს მხოლოდ სისტემის ბრალია, რადგან როცა სისტემა 5 წელს გაძლევს იმისთვის, რომ გაიუმჯობესო შენი კარიერა და იზრუნო პროფესიულ განვითარებაზე, კი არ უნდა მოდუნდე, პირიქით, უნდა გააქტიურდე. სამწუხაროდ, მასწავლებლების ნაწილი ბოლოს გააქტიურდა და ახლა ზოგი ახერხებს სტატუსის მოპოვებას, ნაწილი კი ვეღარ ასწრებს.

ვფიქრობ, ეს უარყოფითად აისახა, განსაკუთრებით, მაღალმთიანი რეგიონების სკოლებზე, ისევე როგორც საპენსიო რეფორმა. ბევრი მასწავლებელი გავიდა სკოლებიდან და მათი ჩანაცვლება ვერ მოხერხდა, არ აღმოჩნდა საკმარისი რესურსი მაღალმთიანი რეგიონების სკოლებისთვის. კადრების სკოლაში შემოყვანისას ბევრი რამ არ გაითვალისწინეს. აქცენტი გაკეთდა იმაზე, რა უწერიათ დიპლომში, მაგრამ რა გამოცდილება აქვთ და რამდენად იცავენ მასწავლებლის სტანდარტს და ეთიკას, ეს არ გაითვალისწინეს. კონკრეტული რეალობიდან გამომდინარე, სკოლები დადგნენ ამ პრობლემის წინაშე.

2019 წელს განხორციელებული ცვლილებებიდან ვეთანხმები CAT-ის გამოცდების გაუქმებას, რადგან ვფიქრობ, რომ ეს მართლაც არაფრის მომცემი იყო. ასევე, მომწონს განათლების დაფინანსების ზრდა, რომელიც მთავრობამ დააანონსა, მაგრამ ვნახოთ რეალურად რა იქნება. საერთო ჯამში, 2019 წელი კიდევ ერთი საცდელი წელი აღმოჩნდა. თუმცა, წინგადადგმული ნაბიჯებიც გვაქვს, თუნდაც, ეროვნული სკოლის გახსნა. კარგია, მივხვდით, რომ პედაგოგებს ადგილზე სჭირდებათ გადამზადება და მხარდაჭერა. სკოლა თუ ბოლომდე გაამართლებს, ძალიან კარგი იქნება. მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ 2019 წელი ცდების ეტაპი იყო განათლების სისტემაში და არა რაიმე კონკრეტული შედეგების მომტანი.

ბერიკა შუკაკიძე
მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი:

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად მასწავლებლის პროფესიაში განხორციელდა რეფორმა, რომლის შედეგადაც მომსვლელიც კმაყოფილი იყო და წამსვლელიც – პრაქტიკოსმა პენსიონერმა პედაგოგებმა ისარგებლეს დამსახურებული ჯილდოთი და ახალბედებს კი, პროფესიაში შესვლის საშუალება მიეცათ.

გიორგი ჭანტურია
განათლების კოალიციის დირექტორი:

მიუხედავად რამდენიმე პოზიტიური ცვლილებისა, ჩემთვის კიდევ ერთხელ ნათლად გამოჩნდა, რომ განათლება არ არის ქვეყნის პრიორიტეტი და, სამწუხაროდ, ისევ ძალაუფლების შენარჩუნების ინსტრუმენტად გამოიყენება. არასაახალწლოა, მაგრამ სისტემას შიგნიდან რომ შეეხედოთ, ვითარება ძალიან სევდიანია... მიუხედავად ამისა, მჯერა, რომ ამ მოჯადოებულ წრეს მაინც გავარღვევთ!

ლეილა ქოჩორაშვილი
ყვარლის №2 საჯარო სკოლის დირექტორი:

ვფიქრობ, წლევანდელი წელი სისტემისთვის მნიშვნელოვანი იმით იყო, რომ სკოლაში დასაქმდნენ ახალგაზრდა პედაგოგები, რომლებსაც ცოდნაც აქვთ, სწავლების თანამედროვე მეთოდებსაც ფლობენ, მაგრამ აქამდე არ ჰქონდათ სკოლაში შესვლის შესაძლებლობა. ახლა მათ საკუთარი თავის რეალიზების საშუალება მიეცათ. ვფიქრობ, მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ დამსახურებული პედაგოგები ღირსეულად წავიდნენ პენსიაზე. მნიშვნელოვანია ანაზღაურების ზრდის თვალსაზრისით და კიდევ ისიც, რომ წელს გაიზარდა მასწავლებლების, სკოლის დირექტორებისა და ტექპერსონალის ანაზღაურებაც.

კიდევ ერთი რამ, მართალია, ეს ჩემს სკოლას არ შეეხება, მაგრამ ჩემს რაიონში სამი სკოლაა ჩართული „ახალი სკოლის მოდელში“. ძალიან კარგი პროექტია, რომელიც ხელს უწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასა და სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვას სკოლებში.

თერეზა ჩიფჩიანი
ახალქალაქის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი:

2019 წელი განათლების სისტემისთვის ძალიან მნიშვნელოვანი წელი იყო, რადგან ბევრი დროული და საჭირო ცვლილება განხორციელდა. ყოველთვის პრობლემური იყო ახალგაზრდა კადრების დასაქმება, რაც ძალიან წარმატებით განხორციელდა წელს, ასევე მნიშვნელოვანი იყო პენსიონერი მასწავლებლების ღირსეულად, ნებაყოფლობით გაცილება სისტემიდან. ასეთი რამ, ალბათ, არავის არ ახსოვს. ასევე შემიძლია დავასახელო გამოცდების მიმართულებით გატარებული რეფორმა როგორც მისაღები, ისე სკოლის გამოსაშვები გამოცდების. ეს ცვლილებები იყო გარდაუვალი, რადგან ამას ითხოვს დღევანდელი რეალობა.

რეგიონებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდა კადრების შემოყვანა სკოლაში. ბევრი ახალგაზრდა ამთავრებდა უმაღლეს სასწავლებელს, ბრუნდებოდა რეგიონში, მაგრამ დასაქმების შანსი იყო ძალიან მცირე. რეგიონის სკოლებისთვის საკადრო პოლიტიკა ყოველთვის რთული იყო და მუდმივად კადრების დეფიციტი გვაქვს, მიუხედავად ამისა, ახალგაზრდების დასაქმება, მაინც პრობლემურია. წელს ძალიან ბევრი ახალგაზრდა განათლებული, მოტივირებული კადრი შემოვიდა სკოლებში. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯია 2019 წელს განათლების სისტემაში.

ბარბარე მახარაძე
ილია ვეკუას სახელობის №42 ფიზიკა-მათემატიკური სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე:

ვფიქრობ, რომ წელს განათლებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა – ცვლილებები შევიდა ეროვნულ გამოცდებში და გაუქმდა CAT-ის გამოცდები. ეროვნულ გამოცდებში განხორციელებული ცვლილებით, აბიტურიენტს საშუალება მიეცა, ფაკულტეტების მიხედვით აირჩიოს საგნის ჩაბარება. მაგალითად, სამედიცინოზე გეოგრაფიის საგნით ვეღარავინ ჩააბარებს, რაც, ჩემი აზრით, ძალიან კარგია. იქ მხოლოდ ის ბავშვები მოხვდებიან, რომლებსაც ქიმიის ან ბიოლოგიის საკმარისი ცოდნა აქვთ. უნარების გამოცდა მხოლოდ იმ პროგრამებზე დარჩა, სადაც მართლა საჭიროა. მოკლედ, მინდა ვთქვა ის, რომ ყველაფერი ისე გადანაწილდა, რომ შემთხვევით მოხვედრა გამოირიცხება და ჩააბარებენ ის აბიტურიენტები, რომლებიც კარგად იქნებიან მომზადებული მიმართულებების მიხედვით.

რაც შეეხება CAT-ის გამოცდებს, გაორებული შეფასება მაქვს – მოსწავლეებისთვის კარგი აღმოჩნდა იმ მხრივ, რომ ნაკლები დატვირთვა ჰქონდათ, თუმცა, მიმაჩნია, რომ მაინც საჭიროა იმის შეჯამება, რა გაიარე 12 წლის განმავლობაში სკოლაში, მაგრამ, არა CAT-ის გამოცდის ფორმით. ამ გამოცდის მიზანს ვერ ვხვდებოდი იმიტომ, რომ რეალურად მართლა არაფერს გაძლევდა. თუ ნიშნებს რაიმე გავლენა ექნება შემდეგ მისაღებ გამოცდებზე, მაშინ აზრი ექნებოდა ამ გამოცდას. ბევრად უფრო პასუხისმგებლობით მოეკიდებოდნენ ბავშვებიც. მე პირადად, CAT-ის ფორმატს შევცვლიდი, თუმცა ბოლომდე არ გავაუქმებდი.

ზოგადად ვერ შევაფასებ როგორია ჩვენი სკოლები, მაგრამ ჩემი სკოლის მაგალითზე გეტყვით, რომ ძალიან მიყვარს და მომწონს იმიტომ, რომ აქ თითოეულ მოსწავლეს შეუძლია თავის გამოხატვა. სკოლა მხოლოდ განათლების მიღების ადგილი არ არის, სადაც კარგ ან ცუდ ნიშნებს იღებ, სკოლამ ცხოვრებისთვის უნდა მოგამზადოს. ჩვენს სკოლაში იმდენი კლასგარეშე აქტივობა ტარდება, თუნდაც პროექტები, რომ შეგვიძლია ყოველი სტანდარტული დღე გავამრავალფეროვნოთ, მე ჩემს სკოლაში ამითაც ვიღებ სიამოვნებას, არ გვაქვს რუტინული ცხოვრება – წავედი სკოლაში, დავესწარი გაკვეთლებს, ჩავაბარე დავალებები და დავბრუნდი სახლში. ვფიქრობ, ყველა სკოლა ასეთი უნდა იყოს, მან უნდა მოგამზადოს ცხოვრებისთვის. ნიშნების დაწერა კი, ამას ვერ აკეთებს. აქტივობები ავითარებს ლიდერულ თვისებებს, რაც მომავალში აუცილებლად გამოგვადგება.

სამოდელო გაკვეთილი

პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი

შალვა ხუციშვილი
სსიპ თბილისის №219 საჯარო სკოლის საქართველოს დამსახურებული მათემატიკის მენტორი მასწავლებელი

საგანი: მათემატიკა
სწავლების საფეხური/კლასი: საბაზო, VII კლასი
მოსწავლეთა რაოდენობა: 21 მოსწავლე, სსსმ მოსწავლე არ არის.
გაკვეთილის თემა: პრაქტიკული ამოცანების ამოხსნა შუამართობისა და სამკუთხედის ტოლობის ნიშნების გამოყენებით.
გაკვეთილის ხანგრძლივობა: 45 წუთი
გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ შეძლოს სამკუთხედის ტოლობის ნიშნების გააზრება, მონაკვეთის შუამართობის აგება, პრაქტიკული ამოცანების ამოხსნა სამკუთხედის ტოლობის ნიშნებისა და შუამართობის თვისების გამოყენებით, საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბება და გაზიარება აუდიტორიის წინაშე.
ესგ-ს მისაღწევი სტანდარტი:

მიმართულება: მათემატიკური მოდელირება, პრობლემების გადაჭრა	
მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
მათ.საბ.6.	ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებულ ობიექტებსა და პროცესებში მათემატიკური ობიექტების მოდელებისა და მიმართებების შემჩნევა და მათი თვისებების გამოყენება მოდელის აგებისას, პრაქტიკული ამოცანების გადაჭრისას;
მათ.საბ.7.	ამოცანის შინაარსის აღქმა, ამოცანის მონაცემებისა და საძიებელი სიდიდეების გააზრება-გამიჯვნა, პრობლემის გამოკვეთა და მისი ჩამოყალიბება.

№	აქტივობის მიზანი და აღწერა	გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ ფორმები	სასწავლო რესურსი	დრო
1	საორგანიზაციო მომენტი (მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვა და პოზიტიური განწყობის შექმნა).	ინფორმაციის გაცვლა	მთელი კლასი	საკლასო ჟურნალი, კალამი	1წთ
2	**აქტივობა 1. გაკვეთილის თემის, მიზნის და შეფასების კრიტერიუმების გაცნობა.** სლაიდების მეშვეობით მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს გაკვეთილის თემას და მიზანს. შეფასების ფორმები და კრიტერიუმები გამზადებული იქნება ფლიფჩარტზე და გამოკრული თვალსაჩინო ადგილზე. შეფასების კრიტერიუმები მოსწავლეებს დარიგებული აქვთ წინასწარ და მასწავლებელი აღნიშნულზე გაამახვილებს ყურადღებას.	ინფორმაციის გადაცემა ვერბალურად და ვიზუალურად	მთელი კლასი	დაფა, ცარცი, ფლიფჩარტი, მაგნიტი, კომპიუტერი, პროექტორი, მასწავლბლის მიერ პრეზენტაციისთვის მომზადებული შესაბამისი PP სლაიდები; შეფასების რუბრიკები. ვიზუალური აღქმის საშუალებით მოსწავლეები ადვილად გაერკვევიან გაკვეთილის მიზანში, ხოლო შეფასების კრიტერიუმების ცოდნა ეფექტური შედეგის მიღწევას გაუადვილებთ.	3წთ
3	**აქტივობა 2. საშინაო დავალების ანალიზი და წინარე ცოდნის გააქტიურება.** მასწავლებელი, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით (ჩხირების საშუალებით), ამოწმებს საშინაო დავალებას. დავალების შესრულების სისწორე მოწმდება შუქნიშნის ბარათებით. წინარე ცოდნის გასააქტიურებლად, მასწავლებელი დასვამს კითხვებს: • რას ეწოდება მონაკვეთის შუამართობი? • რა წერტილთა სიმრავლეა მონაკვეთის შუამართობი? • რას ეწოდება მოცემული წერტილისადმი გავლებული მართობი? დახრილი? • რას ეწოდება წერტილიდან წრფემდე მანძილი? • როდის არის სამკუთხედები ტოლი? • ჩამოაყალიბეთ სამკუთხედის ტოლობის ნიშნები. მასწავლებელი აკვირდება მოსწავლეებს და აკეთებს ჩანაწერს. აძლევს განმავითარებელ შეფასებას.	დავალების შემოწმება, კითხვა-პასუხი, ცოდნის დახარისხება	ინდივიდუალური, მთელი კლასი	საშინაო დავალების რვეული, დაფა, ცარცი, ჩხირები მოსწავლეთა სახელებით, შუქნიშნის ბარათები	10წთ
4	**აქტივობა 3. ცოდნის კონსტრუირება და შინაარსის რეალიზება.** მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს ამოცანას ფეხბურთის შესახებ: როგორ არის შერჩეული ადგილი, საიდანაც უნდა შესრულდეს 11-მეტრიანი დარტყმა? მასწავლებელი გააცნობს 11-მეტრიანი დარტყმის შექმნის ისტორიას, რომლის თანახმად, ირლანდიელმა მეკარემ – უილიამ მაკრამმა, 1890 წელს, შეიმუშავა საჯარიმო დარტყმის წესი. სწორედ ამ წესით სარგებლობენ თანამედროვე ფეხბურთშიც. მასწავლებელი, პროექტორის საშუალებით, აჩვენებს ფეხბურთის მოედნის სქემას. კლასი ერთობლივად იმსჯელებს ამოცანაზე. ამოხსნის სავარაუდო გზებს განიხილავენ დაფაზე და უპასუხებენ ამოცანის კითხვას. ერთობლივი ძალისხმევით მივლენ დასკვნამდე, რომ „11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა“ უკავშირდება მონაკვეთის შუამართობის თვისებას. კარის ხაზის შუა წერტილზე გავლებულია მართობული წრფე, მასზე გადაზომილია 5,5მ (ვინაიდან კარის სიგანეა 5,5მ), ზუსტად იგივე მანძილია კარის შიდა კედლამდე, ე.ი. 5,5+5,5=11მ – ეს არის მანძილი, საიდანაც სრულდება 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა, რომელიც კარის ხაზის შუამართობზე მდებარეობს. მასწავლებელი აკვირდება მოსწავლეებს და აკეთებს ჩანაწერს, აძლევს განმავითარებელ შეფასებას.	ინფორმაციის მიწოდება, ამოცანა პრობლემის დასმით, მსჯელობა	მთელი კლასი	დაფა, ცარცი, სახაზავი, რვეული, კალამი, ფანქარი, შუქნიშნის ბარათები, პროექტორი, მასწავლებლის მიერ სლაიდშოუში გამზადებული ამოცანის პირობა და ფეხბურთის მოედნის სქემა, რათა მოსწავლეებმა უკეთ გაიაზრონ პრობლემის არსი.	9წთ
5	**აქტივობა 4. პრაქტიკული ამოცანების ამოხსნა.** ანალიზისა და სინთეზის უნარის განვითარების მიზნით, მოსწავლეები იმუშავებენ ჯგუფურად და ამოხსნიან პრაქტიკულ ამოცანებს. **1. ჯგუფური მუშაობა:** მოსწავლეები გადანაწილდებიან ჯგუფებში (გადაითვლიან პირველი,მე-2 და მე-3. პირველები დასხდებიან პირველ ჯგუფში, მეორეები – მეორე ჯგუფში და ა.შ.). სამივე ჯგუფს დაურიგდებათ სხვადასხვა პრაქტიკული ამოცანა (იხ. დანართი №3). მასწავლებელი გააცნობს ინსტრუქციას და განსაზღვრავს სამუშაო დროის ლიმიტს. **2. პრეზენტაცია:** თითოეული ჯგუფი წარადგენს თავის ნამუშევარს. მოსწავლეები შეაჯამებენ გაკვეთილზე განხილული ამოცანების შედეგებს. მასწავლებელი აკვირდება მოსწავლეებს და აკეთებს ჩანაწერს, აძლევს განმავითარებელ შეფასებას.	პრაქტიკული დავალების შესრულება, პრეზენტაცია	ჯგუფებში მუშაობა	დაფა, ცარცი, რვეული, სამუშაო ფურცლები, დავალებები ჯგუფური მუშაობისთვის, კალამი, ფანქარი, სახაზავი. პროექტორი, PP სლაიდები ამოცანების პირობებით, ფორმატები და მარკერები	17წთ
6	**აქტივობა 5. გაკვეთილის შეჯამება.** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეავსონ გასასვლელი ბილეთები (დანართი №4), დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრება გაკვეთილის შესახებ, რა ისწავლეს ახალი და რა იყო მათთვის საინტერესო.	ინფორმაციის დახარისხება	ინდივიდუალური	კალამი, გასასვლელი ბილეთები, მოსწავლეები შეძლებენ თვითრეფლექსიას, ხოლო მასწავლებელი, მომდევნო გაკვეთილის ეფექტურად დაგეგმვისთვის, გამოიყენებს გასასვლელი ბილეთების შედეგებს.	3წთ
7	**აქტივობა 6. შეფასება.** გაკვეთილის განმავლობაში, დაკვირვების და პრეზენტაციის შეფასების რუბრიკის საშუალებით, მასწავლებელი მოსწავლეებს განმავითარებელი შეფასებით აფასებს.	ზეპირი კომენტარი	ინდივიდუალური შერჩევით	პრეზენტატორის შეფასების რუბრიკის კრიტერიუმები, დაკვირვების ფურცელი, მასწავლებელი შეძლებს, გაკვეთილის მსვლელობისას და გაკვეთილის ბოლოს, მარტივად შეაფასოს მოსწავლეთა შედეგები.	2წთ
8	**აქტივობა 7. საშინაო დავალების ჩანიშვნა და მითითების მიცემა.** მსგავსი შინაარსის მქონე დავალება დაურიგდება ინდივიდუალურად ყველა მოსწავლეს.	ინსტრუქტაჟი	მთელი კლასი	ამობეჭდილი საშინაო დავალება, მოსწავლეები შეძლებენ უკეთ გააანალიზონ შესწავლილი მასალა.	1წთ

გაკვეთილის გოლოს მისაღწევი შედეგი: მოსწავლე შეძლებს სამკუთხედის ტოლობის ნიშნების გააზრებას, მონაკვეთის შუამართობის აგებას, პრაქტიკული ამოცანების ამოხსნას სამკუთხედის ტოლობის ნიშნებისა და შუამართობის თვისების გამოყენებით, საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბებას და აუდიტორიის წინაშე გაზიარებას.

შეფასება: მოსწავლეები, შესაბამისი შეფასების რუბრიკის (დანართი №1) და გაკვეთილის განმავლობაში განხორციელებული დაკვირვების (დანართი №2) საფუძველზე, მიიღებენ განმავითარებელ შეფასებას.

სამოდელო გაკვეთილი

დანართი №1

პრეზენტატორის შეფასების რუბრიკა

	სრულყოფილად	ნაწილობრივ
პრობლემა გადაჭრილია	2	1
ფლობს აუდიტორიას (იყენებს მიმიკას, ჟესტიკულაციას, ინტონაციას)	2	1
საუბრობს გამართული ენით და იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას	2	1
ადარებს ფაქტებს, აკეთებს დასკვნებს	2	1
იყენებს თვალსაჩინოებას	1	0.5
იცავს დროის ლიმიტს	1	0.5

დანართი №2

დაკვირვების ფურცელი

გვარი/სახელი	**კრიტერიუმები**									
	ჩართულობა	**დროის ლიმიტის დაცვა**	**საკუთარი აზრის დასაბუთებული წარმოდგენა**	**სხვისი აზრის პატივისცემის დემონსტრირება**	**თანამშრომლობა**	**სამკუთხედის ტოლობის დადგენა**	**მართობის, დახრილის, გეგმილის აგება**	**სამკუთხედის ტოლობის ნიშნების გამოყენება**	**შუამართობის გამოყენება ამოცანების ამოხსნისას**	**ქცევის წესების დაცვა**
1.										
2.										
3.										

დანართი №3

დავალებები ჯგუფური მუშაობისათვის

ჯგუფი №1

გამოთქვით ვარაუდები, შეარჩიეთ ოპტიმალური ამოხსნის გზა და გადაწყვიტეთ პრაქტიკული პრობლემა: ორი დასახლებული პუნქტის მახლობლად საავტომობილო გზა გადის. რა ადგილზე უნდა აშენდეს ამ მაგისტრალთან ბენზინგასამართი სადგური, რომ ამ სადგურიდან დასახლებულ პუნქტებამდე მანძილები ტოლი იყოს?



ამოხსნა: სურათზე დასახლებული პუნქტები A და B წერტილებითაა გამოსახული. A და B წერტილებიდან ტოლად დაშორებული წერტილები AB მონაკვეთის შუამართობს ეკუთვნის. ე.ი. უნდა გავავლოთ AB მონაკვეთის შუამართობი და ვიპოვოთ წერტილი, სადაც იგი გადაკვეთს მაგისტრალს.

ჯგუფი №2

გამოთქვით ვარაუდები, შეარჩიეთ ოპტიმალური ამოხსნის გზა და გადაწყვიტეთ პრაქტიკული პრობლემა: სამი სახლის ბინადრებმა, ერთიანი ძალებით, ჭის ამოთხრა გადაწყვიტეს. ჭა სამივე სახლიდან ერთნაირად უნდა იყოს დაშორებული. რა ადგილზე უნდა გააკეთონ ჭა?



ამოხსნა: გამოვსახოთ A, B და C წერტილებით სახლები. AB და BC მონაკვეთების შუამართობების გადაკვეთის O წერტილი თანაბრადაა დაშორებული A, B და C წერტილებიდან.

ჯგუფი №3

გამოთქვით ვარაუდები, შეარჩიეთ ოპტიმალური ამოხსნის გზა და გადაწყვიტეთ პრაქტიკული პრობლემა: A პუნქტიდან გამომავალ რკინიგზის ხაზს ისეთი მიმართულება უნდა მივცეთ, რომ მოცემული B და C პუნქტებიდან ტოლი მანძილებით იყოს დაშორებული, თან B და C პუნქტები გზის სხვადასხვა მხარეს უნდა იყოს. როგორ მოვახერხოთ ამ პრობლემის გადაჭრა?



ამოხსნა: რკინიგზის ხაზი უნდა გავატაროთ BC მონაკვეთის შუაწერტილზე. მაშინ, $CC_1O = BB_1O$ მართკუთხა სამკუთხედების ტოლობის I ნიშნით (ჰიპოტენუზა და მახვილი კუთხე), ე.ი $CC_1 = BB_1$

სპორტი

სემინარი მასწავლებელთათვის

6-8 დეკემბერს თელავმა სპორტის მასწავლებლებისთვის განკუთვნილ სამდღიან სემინარს უმასპინძლა. იგი „სკოლებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სწავლების გაძლიერების“ პროექტის ფარგლებში გაიმართა, რომელიც მოსწავლეებში ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციასა და ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვას ემსახურება.

თელავური შეხვედრის ინიციატორი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო იყო. სემინარს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის 80 მასწავლებელი დაესწრო ქვეყნის ყველა რეგიონიდან – მუნიციპალიტეტებიდან შერჩეული იყო 2-2 მასწავლებელი. მას მხოლოდ ორი მუნიციპალიტეტიდან ვერ დაესწრნენ – ყაზბეგიდან დიდთოვლობის გამო ვერ ჩამოვიდნენ, ხოლო ონელებს გზაში რაღაც სატრანსპორტო პრობლემები შეჰქმნიათ და უკან მოუწიათ დაბრუნება.

სემინარის თემა იყო „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სტანდარტი“, „სტანდარტზე დაყრდნობით მატრიცებისა და სასწავლო პროგრამის შემუშავება სპორტის სხვადასხვა სახეობებში“.

ბუნებრივია, წარმოდგენილი საკითხები ძალზე აქტუალურია სკოლებში სპორტის სწავლების გასაუმჯობესებლად და აღნიშნულ თემებზე დისკუსიებიც გაიმართა. თუმცა, ცხადია, სამდღიანი სემინარი მხოლოდ ამ ორი თემით არ ყოფილა შემოსაზღვრული და სხვა საკითხებიც განიხილეს. ერთ-ერთი ასეთი მიმართულება იყო სკოლებში დაწყებითი საფეხური და საბაზო საფეხური. ამ თემებზე მსჯელობისას უშუალოდ მასწავლებელთა ჩართულობით შეიმუშავეს ერთიანი სამუშაო გეგმა, თუ როგორ უნდა იმუშაონ სკოლებმა დაწყებით საფეხურზე და საბაზოზე. ეს გეგმა სავალდებულო იქნება ყველა სკოლისთვის. ის სამინისტრომ უკვე დაუგზავნა სკოლებს, პროცესს კურატორობას გაუწევენ გადამზადებული მასწავლებლები. აქვე გეტყვით, რომ გადამზადებულ კურატორთა რიცხვი იზრდება. თანაც, პერიოდულად იცვლება მათი შემადგენლობა – იშვიათად და აქა-იქ, მაგრამ მაინც არიან ისეთები, ვინც ჯეროვნად ვერ ასრულებს დაკისრებულ ფუნქციას და მათ ახალი, უფრო ენერგიული კადრებით ცვლიან, ეს ცვლილება კი ადგილობრივ რესურსცენტრებთან კონსულტაციებით ხდება. ადგილებზე სწორედ ეს კურატორები გაუწევენ მეთვალყურეობას ახალი გეგმების, ახალი ამოცანების პრაქტიკულად განხორციელებას.

სემინარის მეორე მიმართულება ოლიმპიზმი იყო. ზემოხსენებული პროექტი, თეორიულ თუ ფიზიკურ აქტივობებთან ერთად (საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა, ლაშქრობები და სხვა), საგანმანათლებლო მუშაობასაც ითვალისწინებს, ამ მოთხოვნის შესაბამისად კი მოსწავლეებს მოეთხოვებათ საპროექტო თემების მომზადება. ერთ-ერთი ასეთია ოლიმპიზმის ისტორია საქართველოში, რაც ოლიმპიზმთან ერთად ქართული სპორტის ისტორიის ცოდნასაც მოიცავს. უნდა ითქვას, რომ ამ პროექტში ოლიმპიზმი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მიმართულებაა, რომელმაც მოზარდთა დიდი მოწონება დაიმსახურა და მუდამ დიდი ინტერესით ერთვებიან აღნიშნული თემების მომზადებაში, ამას კი ხელს ის კარგი ტენდენციაც უწყობს, რომ ისევ და ისევ ამ პროექტის ფარგლებში, მათ ხშირად სტუმრობენ ჩვენი სახელოვანი ოლიმპიელები, მათთან შეხვედრა და უშუალო საუბარი კი ბავშვებისთვის უდიდესი ზეიმია.

სემინარზე ასევე იმსჯელეს საკლუბო მუშაობის აუცილებლობაზე და მის გაძლიერებაზე. მოგეხსენებათ, აღნიშნული სასწავლო გეგმა სკოლებში სპორტული კლუბების ჩამოყალიბებასაც ითვალისწინებს და პროექტში ჩართულ სკოლებში კიდეც მოქმედებს სპორტული კლუბები. სემინარზე იმსჯელეს, როგორი უნდა იყოს საკლუბო სისტემა, რა შეიძლება, შეიცვალოს დღევანდელ მოდელში, რაა გამოსასწორებელი და რისი გაკეთება შეიძლება უფრო უკეთ.

სემინარზე ცალკე ადგილი და დიდი დრო დაეთმო მძლეოსნობაზე საუბარს. „სპორტის დედოფალი“ ხომ ყველა სახეობის საფუძვლადაა მიჩნეული – სირბილი სჭირდება სპორტის სახეობათა აბსოლუტურ უმრავლესობას და ფრიად საშურია მისი სიცოცხლისუნარიანობა, ამ მხრივ კი საქართველოში დასაკვეხნად ნამდვილად არ გვაქვს საქმე. ამ თემაზე საუბრისას ყოველთვის მახსენდება ფეხბურთელ **ლევან ყენიას** მაგალითი, თავისი კარიერის გარიჟრაჟზე, ესპანურ „ლევანტეში“, სინჯებზე ჩასული როგორ დაიწუნეს, სწორად ვერ დარბისო! ეს იმის ნათელი მაგალითია, თუ რამდენად საჭიროა მძლეოსნობა სპორტის სხვა სახეობებისთვის. მათ შორის, ისეთებისთვის, რომლებიც, ერთი შეხედვით, შორს დგანან მძლეოსნობისგან. ამიტომ სემინარზე იმსჯელეს, როგორ დაიწყონ „სპორტის დედოფალზე“ ზრუნვა დაწყებითი კლასებიდანვე და რას უნდა მიექცეს ძირითადი ყურადღება.

ამ თემებზე მუშაობა უახლოეს მომავალშიც გაგრძელდება. ბუნებრივია, ეს ვერ იქნება სემინარის დონეზე, მაგრამ სამინისტრო აგრძელებს რეგიონებში გასვლას და შემოწმებას, რამდენად ზედმიწევნით სრულდება მათი რეკომენდაციები, ხომ არაა რაიმე შესაცვლელი და მათი დახმარება საჭირო. როგორც გითხარით, ადგილებზე ამ პროცესს და ცხოვრებაში მათ დანერგვას გადამზადებული კოორდინატორები წარმართავენ, ოღონდ სამინისტრო ამას არ სჯერდება და უშუალოდ ამოწმებს ადგილზე მიმდინარე სამუშაოებს. უახლოეს დღეებში ამ მიზნით რუსთავს ეწვევიან.

თუმცა, ბოლო დღეებში, ეს არ ყოფილა სამინისტროს მიერ ამ კუთხით გადადგმული ბოლო ნაბიჯი: რამდენიმე დღის წინ, სამინისტროში, ჯანმრთელობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სკოლებში ფიზიკური აღზრდისა და ფიზიკური აქტივობების გაძლიერების საკითხებზე მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. იქ განიხილეს სკოლებში არსებული მდგომარეობა და ზოგადი ხედვა ფიზიკური აქტივობების როლის შესახებ.

სასკოლო სპორტის ფედერაციამ სეზონი შეაჯამა

17 დეკემბერს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ფედერაციამ წლევანდელი წლის შემაჯამებელი სხდომა გამართა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში. ღონისძიებას, სპორტის სამინისტროს მესვეურებთან ერთად, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, სხვადასხვა სპორტული ფედერაციების წარმომადგენლებიც დაესწრნენ. შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა ფედერაციის პრეზიდენტი **კონსტანტინე ამირაჯიბი,** რომელმაც შეაჯამა წლევანდელი სეზონი, ისაუბრა უკვე განხორციელებულ პროექტებსა და სამომავლო გეგმებზე.

ფედერაციას სასაუბრო კი მართლაც ჰქონდა, რადგან წლეულს ორი დიდი პროექტი განახორციელა – სასკოლო სპორტული ოლიმპიადა და სასკოლო ლიგის საპილოტე პროგრამა. ამათგან სასკოლო ოლიმპიადა უკვე ტრადიციად ქცეული მასობრივი ღონისძიებაა, რომელიც მთელ ქვეყანას მოიცავს (იქნებ მასში ყველა სკოლა ვერაა ჩართული და ასეთები ცოტაა, მაგრამ ყველა რეგიონი ნამდვილადაა ჩართული, სკოლების უმეტესობით). წლეულს ამ ოლიმპიადამ სათავე ევროპის სპორტის კვირეულის ფარგლებში აიღო და ის ახლაც მიმდინარეობს, თუმცა ზოგ სახეობებში უკვე დასრულდა, მისი შედეგებით კი, გამოვლინდნენ გამარჯვებულები, რომლებიც გაისად მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს სასკოლო ჩემპიონატებში. ამ კუთხით ფედერაციას წლეულს წინსვლაც აქვს, რადგან გაიზარდა სასკოლო ოლიმპიადებში ჩართული პედაგოგების, მუნიციპალიტეტებისა თუ კერძო და საჯარო სკოლების რიცხვი. ასე მაგალითად, ამჯერად ოლიმპიადაში ჩაერთო 1800-მდე სკოლა და 8000-ზე მეტი გუნდი, რომლებშიც, ჯამში, გამოდიოდა 100 000-ზე მეტი მოსწავლე, სულ კი, მის ფარგლებში, გაიმართა 12 000-ზე მეტი სპორტული შეჯიბრება.

რაც შეეხება საპილოტე პროგრამას, მის ფარგლებში უკვე გაიმართა ბადმინტონის ტურნირი, რომელშიც 16 საჯარო სკოლა ჩაება. იგი ბადმინტონის ფედერაციის თანადგომით ხორციელდება და დიდი ინტერესიც გამოიწვია. განზრახულია მისი განვრცობა სპორტის სხვა სახეობებზეც.

ირაკლი თავაძე

სწავლების მეთოდი

როგორ გავხადოთ გაკვეთილი საინტერესო

მზია სალაძე
სსიპ მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის №1 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მენტორი მასწავლებელი

ინოვაციური სწავლება – „გაჩერებებით სწავლა“ გულისხმობს მოსწავლეთა დამოუკიდებელ, ინდივიდუალურ ან ჯგუფურ მუშაობას. სამუშაო მასალა ორიენტირებულია ქმედებაზე, ითვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს, წინარე ცოდნასა და უნარებს. გარდა ამისა, ეს მეთოდი ხელს უწყობს შიდა დიფერენციაციას, რადგან შესაძლებელს ხდის ცალკეულ გაჩერებებზე სხვადასხვა სირთულის დავალებების შეთავაზებას. გაჩერებებზე მუშაობა ორიენტირებულია სწავლების პრინციპებზე, რომელიც ერთადერთ სწორ პასუხს კი არ გვთავაზობს, არამედ პრობლემის გადაჭრის ალტერნატიულ საშუალებათა მოძიების შესაძლებლობას გვაძლევს. შესაბამისად, ხელს უწყობს ქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებას.

ტრადიციული სასწავლო პროცესის დროს მოსწავლეები შეჩვეულები არიან, რომ მასწავლებელი განსაზღვრავს გაკვეთილის მსვლელობას, შინაარსს, პროგრესიას, შეფასების სახეებს, მეთოდსა და მედიასაშუალებებს და თვითონვე სახავს მისაღწევ მიზნებს. მოსწავლეები შემსრულებლები არიან და მხოლოდ მასწავლებლის მიერ მიწოდებულ იმპულსებზე რეაგირებენ. გაჩერებებით სწავლისას მოსწავლეები გამოდიან პასიური როლიდან და, გარკვეულწილად, თავად მართავენ პროცესს, თავად სახავენ მიზნებს, ანაწილებენ დროს და, ამასთანავე, ანგარიშს უწევენ თანაკლასელის მიერ შეთავაზებულ სტრატეგიებს. ახალ მეთოდს მოსწავლეები ინტერესით ხვდებიან.

მეთოდი მთლიანად მოსწავლეზეა ორიენტირებული, არ შეიცავს იძულებისა და ფრონტალური სწავლების ელემენტებს. იქიდან გამოდინარე, რომ მოსწავლეები თავად განაგებენ სასწავლო პროცესს, მეთოდი ხელს უწყობს ავტონომიურ სწავლებას. მასწავლებელი სასწავლო პროცესს დისტანციიდან აკვირდება და შეუძლია, საჭიროებისამებრ, ჩაერიოს მუშაობაში. შერეული ჯგუფებისთვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი დადებითი ფაქტორია სოციალური სწავლა, რაც ნიშნავს, რომ მოსწავლეები ერთმანეთისგან სწავლას გვერდს ვერ აუვლიან. გარდა ამისა, მათ შეუძლიათ, მოახდინონ შესრულებული სამუშაოს შედეგების ინტეგრირება მიმდინარე პროცესში და ამით თანაკლასელებისთვისაც ხელმისაწვდომი გახადონ.

„სასწავლო გაჩერებები“ დიფერენცირებული სწავლების ფორმაა და, შესაბამისად, ინფორმაციის მოპოვების სხვადასხვა ხერხი ავირჩიე. მესამეკლასელებისთვის გაკვეთილი დამღლელი რომ არ ყოფილიყო, ერთ გაკვეთილში დავგეგმე მათი ასაკის შესაბამისი დავალებები, ოთახში მაგიდები მოვაწყვე ჯგუფური მუშაობისთვის და დავახვედრე სასწავლო რესურსები და ინსტრუქცია; გაკვეთილზე დროის მოგების შესაძლებლობა მომცა, აგრეთვე, რესურსების სწორად ორგანიზებამ და განლაგებამ. თავისუფალი მუშაობისას ვითარდება სასწავლო პროცესები, რომლებიც, საბოლოოდ, შემეცნებით და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ცოდნაში გადაიზრდება. რამდენადაც კვლევის საგანს თავად მსწავლელი ირჩევს, არა მარტო იზრდება სწავლის მცდელობის ინტენსივობა, არამედ სწავლის პროცესში დამოუკიდებლად გაგების/გააზრების სტრუქტურებიც წარმოიქმნება.

ჩემ მიერ ჩატარებული გაკვეთილი მიზანთან შესაბამისი და შედეგზე ორიენტირებული იყო. გაკვეთილზე გამოყენებული სტრატეგიები სწორად შერჩეული აღმოჩნდა, რადგან უზრუნველყო მოსწავლეთა მაღალი მოტივაცია და ჩართულობა. გაკვეთილზე ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთგაგების ხელშემწყობი გარემო მქონდა შექმნილი, ვეცადე, ჩემსა და მოსწავლეებს შორის, კეთილგანწყობილი და თანასწორობაზე აგებული ურთიერთობა ყოფილიყო. სასწავლო რესურსი და თვალსაჩინოება მიზნობრივად შექმნილი და მოსწავლეებისათვის მისაწვდომი იყო. მოსწავლეებმა თანმიმდევრულად იმუშავეს საგაკვეთილო მასალაზე და წარმატებით შეასრულეს დავალებები. გაკვეთილის ბოლოს გავედი მიზნით გათვალისწინებულ ესგ-ს შედეგზე. მთელი საგაკვეთილო პროცესის განმავლობაში, ორგანიზებულად და მოტივირებულად იმუშავა როგორც მთელმა კლასმა, ასევე მოსწავლეებმა ინდივიდუალურად და წყვილებში. მათ პასუხისმგებლობით შეასრულეს თავიანთი მოვალეობა, სხვადასხვა აქტივობის დროს, სწორად შეარჩიეს დავალების შესასრულებელი, ჯგუფში ერთობლივად მუშაობის ფორმა, ამ ყველაფერმა კი, ერთიანობაში, გაკვეთილი საინტერესოდ და შინაარსიანად წაიყვანა.

გაკვეთილის მთავარი თემა: *მურა დათვი* – საინფორმაციო ტექსტი
გაკვეთილის ტიპი: ინოვაციური გაკვეთილი – სასწავლო გაჩერებები
სწავლების საფეხური: მესამე კლასი
გაკვეთილის მნიშვნელობა/აქტუალობა: მოსწავლეები მიიღებენ დამატებით ინფორმაციას მურა დათვის შესახებ; გამოუმუშავდებათ საინფორმაციო ტექსტზე მუშაობის უნარ-ჩვევები; დავალებს ინოვაციური მეთოდის ,,სასწავლო გაჩერებები“ გამოყენებით შეასრულებენ.

თემის შერჩევის შემდეგ დავიწყე გაკვეთილის დაგეგმვა. გაკვეთილის მიზანი ეროვნული სასწავლო გეგმის მისაღწევი შედეგებიდან, მოსწავლეთა საჭიროებიდან, მოთხოვნილებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე ჩამოვაყალიბე.

გაკვეთილის მიზნები და შედეგები:
- საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტის კითხვა და დამუშავება;
- საინფორმაციო ტექსტის წაკითხვისა და გააზრების სტრატეგიების გამოყენება;
- საინფორმაციო ტექსტის საშუალებით საჭირო ინფორმაციის მიღება;

გაკვეთილის სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე, შევარჩიე მეთოდები და აქტივობები, რომლებიც დეტალურად აღვწერე, მივუთითე დრო, რადგან გაკვეთილის წარმატებული განხორციელებისთვის უმნიშვნელოვანესია დროის სწორი განსაზღვრა.

გაკვეთილზე, ძირითადად, გამოვიყენე ინოვაციური სასწავლო მეთოდი „სასწავლო გაჩერებები“, გონებრივი იერიში, ვიდეოჩვენება. ყველა სასწავლო საქმიანობა ისე დავგეგმე, რომ მაქსიმალურად გამოგვეყენებინა სკოლაში არსებული და ჩემ მიერ დამზადებული რესურსები: ტექსტი „მურა დათვი“; გასასვლელი ბარათები; კომპიუტერი; პროექტორი; ვიდეოფილმი „მურა დათვები“; მოსწავლის შეფასების რუბრიკა; თვითშეფასების და ურთიერთშეფასების ბარათები; ჯგუფური სამუშაო – სასწავლო გაჩერებებისათვის კონვერტებში ჩალაგებული ოთხი დავალება.

გაკვეთილზე გამოვიყენე მრავალფეროვანი მეთოდები და აქტივობები.

კლასს გავაცანი გაკვეთილის თემა და მიზანი, შეფასების რუბრიკები. მორიგემ შეავსო *„დღის მესიჯი“*, რომელშიც გამოტოვებულია სიტყვები/ფრაზები. გაკვეთილის დასაწყისში, მოსწავლე შეავსებს ტექსტში გამოტოვებულ ადგილებს. ბავშვები დაასახელებენ: რა რიცხვია დღეს? რა დღეა? რა გაკვეთილი გვაქვს ახლა? როგორია ჩვენი განწყობა? რამდენი მოსწავლე ესწრება გაკვეთილს?

აქტივობა 1. გონებრივი იერიში, გრაფიკული მაორგანიზებლის შედგენა *(წინარე ცოდნის გააქტიურება)*
მოსწავლეებს შევთავაზე გაიხსენონ, რა იციან დათვების შესახებ (წაკითხულიდან/მოსმენილიდან/ნანახიდან); ყველა პასუხი იწერება დაფაზე, შემდეგ, მოსწავლეთა თანამონაწილეობით, იწყება მიღებული პასუხების დაჯგუფება-დახარისხება გრაფიკული მაორგანიზებლის (ქსელისებურის) მეშვეობით – მაორგანიზებლის ცენტრში, ყველაზე დიდი ზომის რგოლში, ჩაიწერა „მურა დათვი“, მასთან ხაზებით დაკავშირებულ უფრო მცირე ზომის რგოლებში – მოსწავლეთა პასუხების საფუძველზე განსაზღვრული ცალკეული რუბრიკები (მაგალითად, გარეგნობა, კვება, საცხოვრებელი ადგილი და მისთ.). თითოეულ რუბრიკასთან ჩამოვწერე შესაბამისი პასუხები.

აქტივობა 2. ვიდეოფილმი „მურა დათვები“
შეთავაზებული ტექსტის გარდა, დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, მოსწავლეებს შევთავაზე ვიდეოფილმი „მურა დათვები“. მათ ნახეს ფილმი და მიღებული ინფორმაცია შეთავაზებული საინფორმაციო ტექსტის გასამდიდრებლად გამოიყენეს, ასევე სასწავლო გაჩერებებზე დავალებების შესასრულებლად.

აქტივობა 3. ჯგუფური სამუშაო. სასწავლო გაჩერებები.
გაკვეთილის მიზნიდან გამომდინარე, საინფორმაციო ტექსტიდან მოკლე დროში სხვადასხვა ინფორმაციის მოსაპოვებლად და დასახარისხებლად, მოსწავლეებს „სასწავლო გაჩერებების“ გამოყენება შევთავაზე. ჯგუფები, სხვადასხვა გაჩერებებზე, მიიღებენ ტექსტიდან სასურველ ინფორმაციას და, მოგზაურობის ბოლოს, მიღებულ ინფორმაციას შევაჯამებთ.

მოსწავლეებმა ყუთში ჩალაგებული ბარათები ამოიღეს და, იმის მიხედვით, ვის რომელი ბარათი შეხვდა, შესაბამის მაგიდასთან განთავსდნენ, ანუ გაჩერებასთან (ამ დროს, მაგიდებთან გაჩერებების შესაბამისი ტრაფარეტები დავალაგე).

თითოეულ გაჩერებაზე, დავალების შესასრულებლად, 7 წუთი მიეცათ. გაჩერებაზე ჩერდებოდნენ და ასრულებდნენ დავალებას, რომელიც ამ გაჩერებაზე დახვდათ; შესრულებულ დავალებას კონვერტში დებდნენ, აწერდნენ ჯგუფის წევრების სახელებს და ტოვებდნენ მაგიდაზე. მას შემდეგ, რაც გაჩერებაზე ყოფნის დრო ამოიწურებოდა, შემდეგ გაჩერებაზე გადადიოდნენ; იქაც ზუსტად ისევე იქცეოდნენ. მას შემდეგ, რაც ყველა ჯგუფმა ყველა გაჩერება მოიარა, მიეცათ ინდივიდუალურად შესასრულებელი საერთო დავალება „გასასვლელი ბარათები“.

პირველი გაჩერება – ინფორმაციის დამაკავშირებლები
დაფიქრდი, რომელს უკავშირდება ცხრილში მოცემული ინფორმაცია – მამრ დათვს, მდედრ დათვს თუ ორივეს, შემდეგ ცხრილის შესაბამის უჯრაში ჩაწერე ნიშანი +.

	მდედრი დათვი	მამრი დათვი	ორივე
ნაირმჭამელია			
ზრუნავს ბელებზე			
ზამთარში იძინებს			
400 კილოგრამზე მეტს იწონის			
უყვარს თაფლი			
ძალიან მოკლე კუდი აქვს			

მეორე გაჩერება – დებულების დამადასტურებლები
მოძებნე ტექსტში ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს მარცხენა სვეტში მოცემულ დებულებებს. მოძებნილი ინფორმაცია ცარიელ უჯრაში, შესაბამისი დებულების გასწვრივ ჩაწერე.

დებულება	საიდან ჩანს?
დედა დათვი მზრუნველი მშობელია.	
მურა დათვი სხვადასხვა ადგილზე ბინადრობს.	
მურა დათვი ნაირმჭამელია.	
მურა დათვი ძუძუმწოვარი ცხოველია.	

მესამე გაჩერება – სიტყვის ამხსნელები
ტექსტში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ახსენი რას ნიშნავს:
1. „ნაირმჭამელები“;
2. „ძუძუმწოვრები“.
ამოიწერეთ ტექსტიდან სათანადო ადგილი.

მეოთხე გაჩერება – დამსათაურებლები
ტექსტი შედგება 6 აბზაცისაგან, დაასათაურე თითოეული მათგანი:

პირველი აბზაცი	
მეორე აბზაცი	
მესამე აბზაცი	
მეოთხე აბზაცი	
მეხუთე აბზაცი	
მეექვსე აბზაცი	

როგორც კი მოსწავლეები ყველა გაჩერებას გაივლიან, დაიწყება დავალებების პრეზენტაცია, ჯგუფის წარმომადგენელი მოსწავლე წარადგენს ჯგუფის ნამუშევარს.

აქტივობა „სასწავლო გაჩერებები“გაკვეთილზე ყველაზე წარმატებული იყო, რადგანაც მოსწავლეებისთვის საინტერესო და სახალისო აღმოჩნდა. ამ მეთოდით ტექსტზე მუშაობა მათთვის ინოვაცია იყო, არასდროს არ ჰქონდათ გაკეთებული მსგავსი რამ. ამ მეთოდით დავალების შესრულება და სხვადასხვა გაჩერებებზე საინტერესო დავალებები მოითხოვდა დავალების ჯგუფურად შესრულებას.

ამის შემდეგ, მოსწავლეებს გასასვლელი ბარათები დაურიგდათ, რომლებიც მათ ინდივიდუალურად შეავსეს და მასწავლებელს ჩააბარეს. ბარათების განხილვა და განმავითარებელი შეფასება შემდეგ გაკვეთილზე მოხდა.

შეჯამება/შეფასება
(თვითშეფასება, ურთიერთშეფასება)

გაკვეთილის შესაჯამებლად მოსწავლეებს დავუსვი შეკითხვები. მათ იმის შესახებ ისაუბრეს, თუ როგორ იმუშავეს, რა გაუჭირდათ, რამ გაახალისათ? ჩართული იყო თუ არა ყველა მოსწავლე? საინტერესო იყო თუ არა ტექსტის დამუშავება და ინფორმაციის მოპოვება „სასწავლო გაჩერების“ საშუალებით? საინტერესო იყო თუ არა დავალებები და მათზე მუშაობა – რომელი დავალება? რატომ? რაში და როგორ გამოიყენებენ დღეს მიღებულ ცოდნას?

დასკვნის სახით, შემიძლია ვთქვა, რომ გაკვეთილი აქტიურად და საინტერესოდ წარიმართა – ჩემ მიერ გამოყენებულმა ინოვაციურმა მეთოდმა უზრუნველყო ბავშვების მაქსიმალური ჩართვა საგაკვეთილო პროცესში, ისინი მოტივირებულნი იყვნენ გაკვეთილის ბოლომდე. მოსწავლეების მიერ გაჩერებებზე შესრულებული დავალებები იმაზე მეტყველებს, რომ კარგად გაიგეს მიწოდებული თემა. რაც მთავარია, გაკვეთილი იყო ინოვაციური, რადგანაც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, „სასწავლო გაჩერებებით“ მოსწავლეებმა პირველად შეასრულეს დავალებები.

მსგავსი ტიპის გაკვეთილის ჩატარებისას, მასწავლებელი ნათლად ხედავს, თუ როგორ დაგეგმოს და ჩაატაროს გაკვეთილი ინოვაციური სასწავლო მეთოდით „სასწავლო გაჩერებები“, რომლის დროსაც მოსწავლეები გამოდიან პასიური როლიდან და, გარკვეულწილად, თავად მართავენ პროცესს, სახავენ მიზნებს, ანაწილებენ დროს და, ამასთანავე, ანგარიშს უწევენ თანაკლასელების მიერ შეთავაზებულ სტრატეგიებს. ახალ მეთოდს მოსწავლეები ინტერესით ხვდებიან.

კონფერენცია

საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება

2019 წლის 14 დეკემბერს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, ამავე უნივერსიტეტის განათლების სკოლის მხარდაჭერითა და ხელშეწყობით, გაიმართა კონფერენცია „მოსწავლეთა მიღწევებზე ასახული მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარება და საქმიანობა“.

კონფერენცია მიზნად ისახავდა, სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ სკოლებს შორის სწავლება-სწავლისა და სკოლის მართვის მიმართულებით, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას.

კონფერენციას ესწრებოდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე, ქალბატონი **ირინე აბულაძე**; რეგიონული კოორდინაციის სამმართველოს უფროსი, ქალბატონი **თამარ მალაზონია**; ეროვნული სასწავლო გეგმებისა და სასწავლო რესურსების შეფასების სამმართველოს უფროსი, ქალბატონი **მარიამ ჩიქობავა**.

კონფერენციას ასევე სტუმრობდა განათლების სკოლის ხელმძღვანელი, ქალბატონი **სოფიკო ლობჟანიძე**, ილიას უნივერსიტეტის სხვა პროფესორები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის თანამშრომლები, თბილისის საგანმანათლებლო რესურსცენტრების, ძველი თბილისის საჯარო და კერძო სკოლის წარმომადგენლები, მოსწავლეები, მშობლები და სხვა მოწვეული სტუმრები.

კონფერენციას მუსიკალურად აფორმებდნენ სსიპ ქალაქ თბილისის №47 საჯარო სკოლის მოსწავლეები და ასევე, კლასიკური გიმნაზიის მასწავლებელთა და მშობელთა ერთობლივი გუნდი „უნისონი“.

ძველი თბილისის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა, დამსწრე საზოგადოებას მოკლე ვიდეორგოლით გააცნო ტერიტორიული ორგანოს მუშაობის მიზნები, თანამშრომელთა ფუნქციები და შეაჯამა განვლილი წლის მუშაობა.

კონფერენცია მოიცავდა როგორც სტენდურ, ისე პლენარულ ნაწილს. წარმოდგენილი იყო შემდეგი თემები:

✔ *პასუხისმგებლობიდან თავისუფლებამდე – ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დაკვეთა და სწავლა-სწავლების ვექტორი* – სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ თბილისის №23 საჯარო სკოლა, მომხსენებლები: **მაგდა ბარამაძე, თემურ ბეიტრიშვილი, მარიამ ჩიბურდანიძე, მარიამ ჯიქია**;

✔ *ახალი სკოლის მოდელი – პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემო* – სსიპ ქალაქ თბილისის №21 საჯარო სკოლა, მომხსენებლები: **გიორგი ბაგრატიონი, გვანცა ბურჭულაძე**;

✔ *თვითშეფასება და შეფასება – სკოლის ორგანიზაციული განვითარების ქვაკუთხედი* – სსიპ ქალაქ თბილისის №98 საჯარო სკოლა, მომხსენებლები: **გიორგი მომცელიძე, მიხეილ არაქელიანი, ნინო კაკაჩია**;

✔ *განათლება მდგრადი განვითარებისთვის* – სსიპ გრიგოლ კობახიძის სახელობის ქალაქ თბილისის №77 საჯარო სკოლა, მომხსენებლები: **სოფიკო ხმალაძე, ანა სანოძე, ირაკლი ხუნძაყიშვილი**;

✔ *არაფორმალური განათლების როლი მოსწავლის თვითაქტუალიზაციასა და სწავლის პროცესში* – ძველი თბილისის რაიონის მოსწავლეთა თვითმმართველობის ახალგაზრდული პარლამენტი, მომხსენებელი: **ნათია გეგეშიძე**.

სტენდური მოხსენებები:

❖ *სკოლის თვითმმართველი რგოლები* – სსიპ ქალაქ თბილისის №31 საჯარო სკოლა;

❖ *უსაფრთხო სკოლა* – სსიპ ქალაქ თბილისის №211 და №212 საჯარო სკოლები;

❖ *STEM საგნების სწავლება-სწავლა* – სსიპ აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის №42 საჯარო სკოლა;

❖ *ინოვაცია ჩემს სკოლაში* – სსიპ გრიგოლ კობახიძის სახელობის ქალაქ თბილისის №77 საჯარო სკოლა;

❖ *კლუბური, წრეობრივი მუშაობა* – სსიპ ქალაქ თბილისის №24 და №28 საჯარო სკოლები;

❖ *მშობელთა ჩართულობა* – სსიპ თბილისის კლასიკური გიმნაზია;

❖ *სკოლის მოვლა-პატრონობა* – სსიპ ქალაქ თბილისის №214 საჯარო სკოლა;

❖ *ინკლუზიური განათლება* – სსიპ ქალაქ თბილისის №84, №202 და №37 საჯარო სკოლები;

❖ *ციფრული სკოლა* – სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლა;

❖ *ჯანსაღი ცხოვრების წესი* – სსიპ ქალაქ თბილისის №47 საჯარო სკოლა;

❖ *დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები* – სსიპ ქალაქ თბილისის №98 საჯარო სკოლა;

❖ *არჩევითი საგნები* – სსიპ ქალაქ თბილისის №63 საჯარო სკოლა.

კონფერენციის დასასრულს მონაწილე სკოლებს მადლობის სიგელები გადაეცათ.

თამარ ბარისაშვილი

ინფორმაცია

ახალი პროგრამა სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში

სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში, საქართველოში პირველად, მეჩარხის პროფესიული პროგრამა დაინერგა. შრომის ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და მოთხოვნადი პროფესიის სწავლებისთვის მოეწყო და აღიჭურვა შესაბამისი სასწავლო ლაბორატორია. პროექტი განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით განხორციელდა და მისი ღირებულება 256 000 ლარია.

ახალ პროგრამას, კოლეჯის საქმიანობას და განახლებულ სასწავლო ლაბორატორიებს მინისტრის მოადგილე **თამარ ქიტაიშვილი** გაეცნო.

კოლეჯში წარმატებით ხორციელდება 20-22-თვიანი, სხვადასხვა მიმართულების სარკინიგზო-სატრანსპორტო პროფილის საგანმანათლებლო პროგრამები. ამ ეტაპზე კოლეჯს 350-მდე პროფესიული სტუდენტი ჰყავს. თეორიული კურსის დასრულების შემდეგ, ისინი უშუალოდ საქართველოს რკინიგზის ობიექტებზე გადიან სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას და, ამასთანავე, შრომით ანაზღაურებას იღებენ. სწავლის წარმატებით დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულები საქართველოს რკინიგზის საწარმოებში საქმდებიან.

სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს

მთის საერთაშორისო დღე

მთის პოპულარიზაციის მიზნით, მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველო, მეორე წელია, ოფიციალურად აღნიშნავს მთის საერთაშორისო დღეს – 11 დეკემბერს. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), შვეიცარიისა და ავსტრიის მთავრობების მხარდაჭერით, წელს, საქართველოს მთავრობის მიერ, შემუშავდა „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 5-წლიანი სტრატეგია (2019-2023 წწ)“, რომლის მიზანია მაღალმთიანი დასახლებების მდგრადი განვითარება, იქ მცხოვრებთა სოციალური მხარდაჭერა და ხარისხიანი განათლების, სერვისების ხელმისაწვდომობის ზრდა.

საქართველოს მთავრობის მიერ, მთის კანონის ამოქმედებიდან (2016 წელი) დღემდე, მთის მოსახლეობისთვის სხვადასხვა სოციალური და ეკონომიკური პროგრამის ფარგლებში, არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. მთის დღესთან დაკავშირებით, გაწეული სამუშაოების თაობაზე, პრეზენტაცია წარმოადგინა საქართველოს ვიცე-პრემიერმა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, მაია ცქიტიშვილმა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია, მინისტრთა კაბინეტის წევრები და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე ირინე აბულაძე. პრეზენტაციაზე მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ პედაგოგები და მათი მოსწავლეები მთიანი რეგიონებიდან.

ღონისძიების ფარგლებში, კონკურსის „მთის შვილები“ გამარჯვებულებიც დაჯილდოვდნენ, მათ შორის იყვნენ **ხათუნა ღურჭუმალიძე** – ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ნასპერის დაწყებითი კლასების წარმატებული მასწავლებელი და გამორჩეული პოეტი და მწერალი **ბესიკ ხარანაული.**

განათლების ხელმისაწვდომობის, ტურიზმისა და კულტურულ-სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით, მთის აღმშენებლობის პროცესში აქტიურადაა ჩართული განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო. ბოლო წლების განმავლობაში:

✔ მთის სტატუსის მქონე სკოლების მასწავლებლები სახელფასო დანამატს იღებენ;

✔ სკოლა-პანსიონების რეაბილიტაციისთვის, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან, 1 მილიონი ლარით დაფინანსდა მაღაროსკარის, ბარისახოს და შატილის სკოლები. სამივე სკოლა-პანსიონის რეაბილიტაცია სრულად განხორციელდა (შატილში, ხანძრის გამო, ახალი პანსიონი შენდება);

✔ მიმდინარეობს 18 სკოლის პროექტირება/მშენებლობა, მათ შორის ისეთ ტერიტორიებზე, სადაც, სკოლების არარსებობის გამო, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, სწავლის პროცესი სხვადასხვა შენობაში ან სხვა დასახლებაში მიმდინარეობდა. გარდა ამისა, მიმდინარეობს 14 სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

✔ არაფორმალური განათლების ფარგლებში, მიმართულებების მიხედვით, სკოლებში უფასო წრეები გაიხსნა;

✔ მაღალმთიან დასახლებაში არსებული სკოლების მოსწავლეები სხვადასხვა მიმართულების საზაფხულო სკოლებში მონაწილეობენ;

✔ 30 სკოლის 60 წარმომადგენელი გადამზადდა პროექტების მართვის უნარების გასაძლიერებლად;

✔ განხორციელდა ქედის, ხულოს, შუახევის, ხელვაჩაურის და ქობულეთის მუნიციპალიტეტების 106 საჯარო სკოლის 3761 მოსწავლის უზრუნველყოფა ტრანსპორტით;

✔ ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის მიმართულებით, წელს, დასრულდა და პირველად მიიღო პროფესიულ სასწავლებელში სტუდენტები ხულოს ფილიალმა, დასრულების ეტაპზეა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულები შუახევში;

✔ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე, მთის ფაკულტეტის შექმნისა და შესაბამისი სასწავლო პროგრამის მოსამზადებლად, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან, გამოყოფილია 150 000 ლარი;

✔ 2018-2019 სასწავლო წელს, სოციალური პროგრამის ფარგლებში, უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე, 226 სტუდენტი დაფინანსდა;

✔ მთიან რეგიონებში ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით, დაგეგმილია მესტიისა და უშგულის განახლების პროექტები, გრძელდება უშგულის თემის სოფელ ჩაჟაშის კოშკებისა და მაჩუბების აღდგენის პროცესი. აშენდა და რეაბილიტირდა ვიზიტორთა ცენტრები, მომზადდა 10 სამთო-საფეხმავლო ბილიკის პროექტი მესტიის მუნიციპალიტეტისთვის, განხორციელდა სხვადასხვა რეგიონის ტურისტული მარშრუტების მარკირება.

საახალწლო ტრადიციები საქართველოში

ლალი თვალაბეიშვილი

შობა-ახალი წელი განსაკუთრებული პერიოდია როგორც ბავშვებისთვის, ასევე უფროსებისთვის, ყველა დიდი სიხარულით ელოდება. ახალი წლის თარიღს, საქართველოში ხშირად ცვლიდნენ – მეოთხე საუკუნეში 6 აგვისტოს აღნიშნავდნენ, მეშვიდე საუკუნიდან მეცხრე საუკუნის დამდეგამდე – სექტემბერში, შემდგომ კი, მარტში გადაიტანეს. მეთოთხმეტე საუკუნიდან ახალი წლის თარიღი, ევროპული კალენდრის მიხედვით, იანვარში დაწესდა.

საქართველოში ახალ წელთან ბევრი წარმართული ტრადიცია იყო დაკავშირებული, მაგალითად: „ბასილას“, „ჩიჩილაკის“ და სხვა კულტები. ჩიჩილაკის კულტი, განსაკუთრებით, გურიასა და სამეგრელოში იყო გავრცელებული. იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში ეს მორთულობა მცირე დეტალებით განსხვავდება ერთმანეთისგან. ცნობილია, რომ ჩიჩილაკს თხილის ტოტებისგან თლიან, რადგან თხილი, კაკალთან ერთად, ერთ-ერთ ყველაზე მოსავლიან მცენარედ ითვლებოდა. გრძელ თეთრნვერიან ჩიჩილაკს ძვირფასი სამკაულებით, ტკბილეულით და ხილით რთავდნენ, რაც ბარაქისა და ულევი სიტკბოების სიმბოლოდ აღიქმებოდა. ჩიჩილაკს „ბასილას წვერსაც“ ეძახიან და იგი წმინდა ბასილი დიდის სახელს უკავშირდება. ახალ წელსაც, საქართველოში, ხშირად, „ბასილის დღეს“ უწოდებდნენ, რადგან პირველ იანვარს მართლმადიდებლური ეკლესია წმინდა ბასილი დიდს იხსენიებს.

კიდევ ერთი საინტერესო ტრადიციაა დაკავშირებული წმინდა ბასილის სახელთან. ძველ საქართველოში, სანამ ქრისტიანობა დამკვიდრდებოდა, ახალი წლის აღნიშვნა დაკავშირებული იყო მზის ღვთაებასთან. ქართული საახალწლო სუფრის განუყოფელი ნაწილი იყო პურისაგან გამომცხვარი „ბასილას“ ქანდაკება. როგორც ცნობილია, თავდაპირველად, ბასილა არა წმ. ბასილის, არამედ წარმართული ხანის მზის ღვთაების ქანდაკება იყო, ბასილას კვერები კი – მასთან დაკავშირებული ღვთაებები, რომლებსაც ჩვენი წინაპრები, შორეულ წარსულში, შვიდ მნათობთა სახით სცემდნენ თაყვანს. მხოლოდ III საუკუნის შემდეგ, ქრისტიანულმა ეკლესიამ ახალი წლის დღესასწაული წმ. ბასილის ხსოვნას დაუკავშირა და, ამ დროიდან, ქართულ საახალწლო სუფრაზე მდებარე მზის ღვთაების ქანდაკებას „ბასილა“ ეწოდა.

საქართველოს ყველა კუთხე საკუთარი დამახასიათებელი კულტურით გამოირჩევა, არც საახალწლო ტრადიციებია გამონაკლისი: მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი საახალწლო ტრადიცია ყველა კუთხეში საერთო იყო, რიტუალები თითქმის ყველგან განსხვავდებოდა.

ძველ თბილისში თბილისელები, ახალი წლის ღამეს, სახლის კარებს ღიას ტოვებდნენ. ფიქრობდნენ, რომ ახალ წელს ქუჩებში ბედნიერება დადიოდა და კარი დაკეტილი თუ დახვდებოდა, იმ სახლს გვერდს აუვლიდა.

ტკბილეულით სავსე სუფრას ტაბლაზე შლიდნენ. ოჯახის დიასახლისი ტაბლის ოთხ კუთხეში სანთლებს ანთებდა (სანთლებს საკუთარი ხელით ამზადებდა). როგორც კი ახალი წელი მოვიდოდა, ოჯახის უფროსი ტაბლას ხელში აიღებდა და მთელ სახლს შემოივლიდა. თბილისელები ფიქრობდნენ, რომ ამ დროს მათ მფარველი ანგელოზი დაჰყვებოდა, რომელსაც ოჯახისთვის სიკეთე და სიმდიდრე მოჰქონდა.

აღმოსავლეთ საქართველოში ახალი წლის წინა დღით ოჯახში აუცილებლად მოიტანდნენ წყაროს უმძრახ წყალს და ეზოში მოასხამდნენ. მეკვლე ოჯახის უფროსი ან მოწვეული სტუმარი იყო, რომელიც ახალი წლის დადგომის შემდეგ ოჯახში ხელდამშვენებული შედიოდა, მიჰქონდა: დედას პურები, ყველი, ხორცი, ღვინო, გოზინაყი, ხილი, ჩურჩხელა და მარცვლეული. ზოგჯერ ცოცხალი ქათამიც მიჰყავდა. გადააბიჯებდა თუ არა მეკვლე ზღურბლს, მიმოაბნევდა ხორბლის, სიმინდის ან ქერის მარცვალს, რათა ახალი წელი ხვავიანი და ბარაქიანი ყოფილიყო.

ქართლში ახალ წელს აცხობდნენ წმინდა ბასილის ქანდაკებას. ასევე აცხობდნენ ბედის კვერს ოჯახის წევრებისთვის და შინაური ცხოველებისთვის. ორ-ორ ბედის კვერს – ოჯახის წევრებისთვის და თითო-თითოს – შინაური ცხოველებისთვის.

გამთენიისას ოჯახის უფროსი მამაკაცი ღორის თავთან ბედის კვერებს დებდა თეფშზე და ასევე თაფლში ამოვლებულ პურის ლუკმებს მიუწყობდა გვერდზე. თეფშის ერთ კიდეში თაფლის სანთელს აანთებდა.

კახეთში მეკვლეს სახლში შემოსვლისას ხორბალს ან სიმინდს გადაუყრიდნენ – ბევრი მაძღარი კრუხ-წიწილა გვეყოლებაო. აქვე ასეთი მესტვირული საახალწლო სიმღერა ისმოდა:

„ხელში ორ ჭიქას ავიღებ, ვილოცებოდე ღვინითა,
ყველა კარგად დაესწარით მრავალ ახალწელს დილითა,
ნათლიმამა თან მოგდევდეს, თაფლი მოქონდეს ქილითა;
ხურჯინიც სავსე ეკიდოს, ჩურჩხელებით და ხილითა...
თქვენი კოდები ყოფილა სავსე და – წმინდა ფქვილითა;
თქვენი ქვევრები ყოფილა სავსე და – წითელ ღვინითა;
თქვენი ფარეხი ყოფილა სავსე და – ცხვრითა, ბინითა...
თქვენი მტერი წაქცეულა, ვეღარა ძღება ძილითა...!“

კახეთში ახალ წელს ჩამიჩიან პურებს აცხობენ ისე, რომ ოჯახის ყოველს წევრს თითო პური შეხვდეს. ახალი წლის ღამეს ყველა თავის ჩამიჩიან პურს ჭამს. გამთენიისას ოჯახის უფროსი გარეთ გადის და სახლს სამჯერ შემოუვლის. შინ შემობრუნებისას კი ოჯახის წევრებს ახალ წელს ულოცავს და საგანგებოდ მომზადებული პურიანი ჯამიდან ყველას თითო ლუკმას აჭმევს.

იმერეთში, ახალი წლის დადგომამდე, ოჯახის უფროსი, ხორაგით სავსე ხონჩით, სახლს სამჯერ წაღმა შემოუვლიდა. მას ხელში ლანგარი ეჭირა, რომელზეც ღორის თავი, მწვადი, მოხარშული დედალი, ლობიანი ღერღილის პური და ტკბილი კვერები ეწყო. ამის შემდეგ ოჯახის უფროსი სახლში, ოჯახის ყველაზე ხნიერ წევრთან ერთად, შევიდოდა. ხნიერი წევრი კერიაში ნაკვერჩხალს რამდენჯერმე დაჭკრავდა ჯოხს და ცეცხლიდან ნაპერწკლები იყრებოდა. ოჯახის უხუცესი თან ლოცულობდა: „როგორი უხვიც არის ეს ნაპერწკლები, ისე გვამრავლე და გაგვახარეო“.

საახალწლოდ რამდენიმე ჩიჩილაკი მზადდებოდა, ერთ-ერთი მარნისთვის იყო განკუთვნილი. ახალი წლის დილას შინაური მეკვლე წყაროდან წყალს მოიტანდა. ოჯახის წევრები პირს დაიბანდნენ და, ისევ მეკვლეს წინამძღოლობით, მარნისკენ წავიდოდნენ. მიჰქონდათ სანოვაგით სავსე გობი, ორშიმო და ჩიჩილაკი. მეკვლე ჩიჩილაკს საახალწლო ჭურის გვერდით დაასობდა. მარანს ახალ წელს მიულოცავდა, შემდეგ საახალწლო ჭურს მოხდიდა, ღვინოს გასინჯავდნენ და დოქებს აავსებდნენ.

წითელ მამალს კლავენ ახალ წელს **საინგილოში**. სუფრას კი, ახალი წლის დადგომამდე მიუსხდებიან. აკეთებენ ქათმის წვნიანსა და ფლავს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათთვის მეკვლე, რომელიც უნდა იყოს ნათესავი და ბედისგან დაუჩაგრავი. ვიდრე მეკვლე არ ეწვევათ, სახლში არავის მიიღებენ.

თუშეთში ახალ წელს „წელწდობას“ უწოდებენ. ახალი წლის აღსანიშნავად არაყს ხდიდნენ და ლუდს ადუღებდნენ. ოჯახის ყველა წევრის სახელზე ცხვებოდა სათავნო და ბედის კვერები სხვადასხვა გამოსახულებით. აცხობდნენ ერთ დიდ კვერს – „ქრისტეს საგზალს“, ქალებისთვის – მრგვალ კვერს, ხოლო კაცებისთვის – „ბაცუკაცს“. კვერებს შინაური ცხოველებისთვისაც აცხობდნენ: ხარისთვის განკუთვნილ კვერს რქები ჰქონდა, ძროხისთვის განკუთვნილს – ძუძუები, ცხენის კვერს ნალის ფორმა ჰქონდა. ყველა სახის კვერს ლანგარზე აწყობდნენ მატყლთან, მარილთან, ყველთან და ერბოსთან ერთად.

ახალი წლის დადგომამდე თუშ ქალებს აუცილებლად უნდა დაებრუნებინათ, თუკი რამ ჰქონდათ განათხოვრებული; იმარაგებდნენ ტკბილეულს და აცხობდნენ სამეკვლეო კვერს, რომელსაც „ხარის გოგას“ ეძახდნენ. აქ მეკვლედ ისეთ კაცს იწვევდნენ, რომელსაც კეთილი გული, კარგი ფეხი და დიდი გამოცდილება ჰქონდა. სანამ მეკვლე არ მოვიდოდა სუფრასთან არავინ ჯდებოდა. ზუსტად თორმეტ საათზე მეკვლე ოჯახში შემობრძანდებოდა, ოჯახის უფროსი კი მას სამეკვლეო კვერს მიართმევდა. მეკვლე მას კერიასთან დააგორებდა ისე, რომ კვერი წაღმა დამდგარიყო, რათა ახალ წელს ოჯახის ბედი სულ წაღმა დატრიალებულიყო. ხდებოდა ისეც, რომ მეკვლეობას თუშები მეცხვარის ძაღლს ანდობდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ მასაც „კარგი კვალი“ ჰქონდა.

დილით ადრე ოჯახის უფროსის ჯერი დგებოდა. იგი უნდა გასულიყო გარეთ, შემოეტანა თოვლი და სახლში მიმოებნია. ოჯახის უფროსის დალოცვის შემდგომ, საახალწლო მხიარულება იწყებოდა.

ფშავ-ხევსურეთში, ახალი წლის ღამეს, ხევისბერი და მისი დამხმარეები სალოცავში წაიღებდნენ ქადებს, ერბოიან პურებს და სანთლებს. ასევე მიჰყავდათ დასაკლავი ცხოველი. ხევისბერი დალოცავდა ყველა ოჯახს და გვარს. დაკლავდნენ ცხვარს, თოვლის გუნდებს ცხვრის სისხლში ამოავლებდნენ და სალოცავის კედელს ესროდნენ.

ახალგაზრდა ბიჭები ქუდებს ნაბდის ქვეშ დებდნენ. ვინც მალულად ქუდს აიღებდა, სწორედ ის იყო მთელი სოფლის მეკვლე. დალოცვის შემდეგ სოფელში დღესასწაული იწყებოდა. იხარშებოდა ლუდი და ხინკალი.

ხმიადის გამოცხობით იწყება ახალი წლის დილა **ფშავში**. ხმიადს მაგიდაზე თაფლიან და ერბოიან ჯამებს შემოუმწკრივებენ. ოჯახის ერთი წევრი წყალზე მიდის და თან მიაქვს ყველი და პური. ჩააგდებს წყალში და სამჯერ იტყვის: „წყალო, ნაყრი მოგიტანე, ბედი გამომაყოლეო“. წამოიღებს წყალს, ხმიადებით სავსე სუფრაზე დადებს და დაილოცება. მხოლოდ ამის შემდეგ მიუსხდებიან ოჯახის წევრები სუფრას, დიასახლისი მათ თაფლს და ხილს შეაჭმევს და ერთმანეთს ეტყვიან: „ეგრემც ტკბილად დამიბერდიო“. გადმოიღებენ ხმიადებს, წვნიან ჯამებს და საუზმობენ. ოჯახი უცდის წინა ღამეს ხატში წასული ღამისმთევლების გამობრუნებას, მეკვლეს შემოსვლას და ოჯახიდან არავინ გადის. დიასახლისი ქვაბს ჩამოჰკიდებს და ხინკლის კეთებას შეუდგებიან.

ხევსურეთში ახალ წელს „წელწადს“ უწოდებენ და მას დიდი სამზადისით ეგებებიან. ოჯახებში საახალწლო არაყს ხდიან, ხატში დასტურები ლუდს ხარშავენ. დიასახლისი საახალწლო კვერებს აცხობს. ყველაზე დიდი სამეკვლეო კვერია, რომელზედაც გამოსახულია ჯვარი, კაცი, სახნისი, ხარი, ძროხა, ცხენი, ქერის თავთავი და სხვა. სამეკვლეო კვერს გამოცხობის დროს უცქერიან და, რომელი გამოსახულებაც აიწევს, იმ წელიწადს ის იქნება მრავალი და დოვლათიანი. შემდეგ დიასახლისი ოჯახის ყველა წევრისათვის აცხობს ბედის კვერებს: თითოეულს თავისი ნიშანი აზის და გამოცხობის დროს, ვისიც აფუვდება, ის ბედიანი და ყისმათიანი იქნებაო.

ოჯახის მეკვლეები ხატებში ათენებენ ახალი წლის ღამეს. გათენებისას ხუცესი გარეთ გამოდის, თოვლი შეაქვს სალოცავში, მეკვლეებს თავზე აყრის და დალოცავს: „ესრ თეთრად აყვავდით! წელიმც კაისა გამოგეცვლებისთ, პურიან-წულიანი, სახელსარგებლიანი, მშვიდობისა და კარგად ყოფნისა!...“

გურია-სამეგრელოში ახალი წლის პირველ დღეს „კალანდა“ ეწოდება და მას თოფების სროლით ეგებებიან.

სამეგრელოში ახალ წელს დილაადრიან ოჯახის უხუცესი მამაკაცი, ხელში მორთული ჩიჩილაკით და ღომის მარცვლიანი ჯამით, რომელზეც კვერცხი დევს, სახლიდან გარეთ გადის ახალი წლის მოსალოცად. გარკვეული რიტუალის შესრულების შემდეგ სახლში შემოდის, ჩიჩილაკს კუთხეში მიაყუდებს, ჯამს იქვე მიუდგამს და თვითონ საახალწლო ტაბლას მიუჯდება, რომელზეც ალაგია: ღორის თავი, ხილი და სხვ. საუზმის დაწყებამდე მეკვლე ოჯახის ყველა წევრს ტკბილეულით უმასპინძლდება.

გურიაში კალანდის წინადღით მოჰქონდათ „ცხემლის“ (რცხილის) შეშა, რომელსაც თხილის ჯოხებსაც მოაყოლებდნენ ჩიჩილაკისთვის. ამ ჯოხებს ღადარში აცხელებდნენ და კარგად ალესილი დანით ისე თლიდნენ, რომ ბურბუშელა ჯოხზევე რჩებოდა და ეხვეოდა. შემდეგ ჯვრიან დასადგმელს უკეთებდნენ, წვერში ჯვარედინად თხილის ჯოხებს ჩაურჭობდნენ და რთავდნენ სუროს ტოტებით, ვაშლებით, საჩიჩილაკე ხაჭაპურებით, ტკბილეულითა და ვერცხლის ფულებით. აქვე ასეთი წესი სრულდებოდა: ოთხ ხაჭაპურს გიდელში ჩაანყობდნენ და გოგონას გაატანდნენ მარანში. იქიდან ვაჟი უნდა გამოსულიყო ღვინიანი დოქით და გოგონას შეხვედრო-

და. მათ შორის მოჩვენებითი ბრძოლა გაიმართებოდა დოქისა თუ ხაჭაპურის წასართმევად და მარანში შესატანად. თუ ბიჭი იმარჯვებდა, მაშინ ყურძნის უხვი მოსავალი იყო მოსალოდნელი, ხოლო თუ გოგონა იყოჩაღებდა – აბრეშუმის.

ახალ წელს, მამლის ყივილზე, მთელი ოჯახი ფეხზე დგება. მამაკაცები ღორის თავს, ბასილას, საახალწლო გობს სანოვაგით დატვირთულს, მორთულ ჩიჩილაკს და ცარიელ ჩაფს იღებენ და მარნისკენ გაეშურებიან. მარანში შესვლისას, ოჯახის უფროსი ხმაამოუღებლად საახალწლო გობს მიწაზე დადგამს, ჩაფს ღვინით გაავსებს და დაჩოქილი წმინდა ბასილას ოჯახის ბედნიერებას შესთხოვს. ადესას ღვინით დალოცავს ქვეყანას და მშვიდობის სადღეგრძელოს იტყვის.

ლეჩხუმში ოჯახის მეკვლე ბაბუა იყო ხოლმე. ახალი წლის დადგომისას ბაბუა, უმცროს ვაჟთან ერთად, ვენახში გადიოდა. ჯერ თვითონ ლოცავდა ზვრებს, შემდეგ უმცროს ვაჟს ალოცვინებდა. ზვრებში ღვინოს აპკურებდნენ. მერე მივიდოდნენ ბეღელთან, ნალიასთან, ჭურებთან, ბოლოს სახლში შევიდოდნენ და გვარს ლოცავდნენ.

ახალ წელს, ნაშუადღევს, ოჯახის უფროსი მამაკაცი ზურგზე მოიკიდებდა მეორე მამაკაცს და ვენახისკენ გასწევდა. თან მიჰქონდა ტაბლა, რომელზეც ეწყო ღვინიანი ჭიქა, ღორის შემწვარი ხორცი, ანთებული სანთელი და ხორბლის ერთ-ერთი ჯიშის – ზანდურის თავთავების კონა. ვენახში შესვლისას იგი იძახდა: „ღუზ, ღუზ, ღუზ!“ შემდეგ კაცს ჩამოსვამდა, თავთავების კონას სარზე ჩამოაცვამდა, ტაბლას წაღმა შეატრიალებდა, მერე ღვინით დაილოცებოდნენ და მიტანილ სანოვაგეს შეექცეოდნენ.

სამეგრელოში ყველაზე დიდ დღესასწაულად კალანდა – ახალი წელი ითვლებოდა. შინ, გამოსაჩენ ადგილას, დადგამდნენ ბროწეულით, ხილით, ტკბილეულით, ძვირფასი ნივთებით, აბრეშუმის ძაფით, სუროსა და დაფნის ტოტებით მორთულ ჩიჩილაკს. აცხობდნენ ბასილას და ღვეზელს, რომელშიც კვერცხის გულს დებდნენ. დილით ადრე სოფელში თოფის სროლა ატყდებოდა. ოჯახის უფროსი სანოვაგით სავსე ხონჩას აიღებდა, სახლს ლოცვით სამჯერ შემოუვლიდა, ღომის მარცვლებს აბნევდა და ღმერთს გამარჯვებას, ჯანმრთელობასა და კარგ მოსავალს სთხოვდა. შემდეგ შინ შევიდოდა და ყველას მიულოცავდა.

ახალ წელს სტუმრის მოტაცებაც იცოდნენ. ამ ჩვეულებაში მთელი უბანი მონაწილეობდა. გაიმართებოდა მხიარული გაწევ-გამოწევა, სიცილი და ხუმრობა. მოტაცებულ სტუმარს ასაჩუქრებდნენ, პატივს სცემდნენ და მეორე დღემდე არ გაუშვებდნენ.

ახალი წლის საღამოს ეწყობოდა „ტყაპობა“ – ახალგაზრდა ქალები და ვაჟები ერთმანეთს სიმინდის ცომით თხუპნიდნენ. ამ მხიარულ შეჯიბრებაში ვინც მოუთხუპნავი გადარჩებოდა, იმ წელიწადს გამარჯვებული და ბედნიერი იქნებოდა.

აფხაზეთში ახალ წელს ხიჩხუამას ეძახდნენ. მთელი ოჯახი საგვარეულო სახლში იკრიბებოდა, საგანგებოდ იხსნებოდა ქვევრი, ცხვებოდა თაფლიანი და ნიგვზიანი ქადები, აფხაზურა პურები. ოჯახის უფროსი, საკლავის დაკვლის შემდეგ, დაკლული საქონლის ღვიძლით, ფილტვითა და თირკმლით ხელში მიდიოდა სალოცავში, ასხურებდა ღვინოს, მერე კი ოჯახში დაბრუნებული ახალ წელს ულოცავდა ახლობლებს.

აჭარაში, ახალი წლის ღამეს, მთელი ოჯახი სუფრასთან იკრიბებოდა. ოჯახის უფროსის ნებართვით, ყველას უმცროსი ვაჟი ულოცავდა ახალ წელს. დიასახლისი ირგვლივ უმძრახ წყალს მოაპკურებდა, შემდეგ კი გახსნიდა წინასწარ მომზადებულ ყაურმას. სუფრაზე ეწყო აჭარული ხაჭაპურები, ჰალვა, ხარჩო, ბურმე – თაფლიანი და ნიგვზიანი ნამცხვარი, სანთლის არაყი. ქალებს აუცილებლად უნდა სცმოდათ წითელი კაბა და გულზე ჰკიდებოდათ ბებიის ნაჩუქარი ჯვარი. დაილოცებოდნენ აჭარლები და ისვრიდნენ თოფს, ნიშნად იმისა, რომ ოჯახი ხარობდა და სიცოცხლე გრძელდებოდა. ახალგაზრდები თითქმის გათენებამდე დადიოდნენ სოფელში და ყველა ოჯახს ახალი წლის დადგომას ქრისტიანული სიმღერით ულოცავდნენ:

„შემოვდგი ფეხი, გილოცავთ,
გწყალობდეთ წმინდა ბასილი,
იმისი მადლით იყავით
პურით და ღვინით ავსილი.“
მასპინძლები საჩუქრებს აძლევდნენ მომლოცველებს.

რაჭაში, ახალი წლის წინა საღამოს, ოჯახის უფროსი „სამკლოვიარო გერგვს“ აკეთებდა. ამისთვის ცხრა ვაზს თითო რქას შეაჭრიდა, მათ ერთმანეთს შეაგრეხდა, მორკალავდა და შუაში ჯვრად თხილის დაჩიჩილაკებულ ჯოხებს ჩაუყენებდა. ამ ჯოხებს გარეთ გამოშვერილ წვეროებზე ვაშლებს წამოაცვამდნენ, ბაძგის მწვანე ტოტებით მორთავდნენ და ზედ საახალწლო განატეხს დაადებდნენ.

„გფარავდეთ მრავალძალის წმინდა გიორგი! შეგეწიოთ ყოვლადწმინდა ხოტევი და ნიკორწმინდა! აგარა და უღეში, ღმერთმა მოგცეთ ნუგეში“, – ამ სიტყვებით ლოცავდა რაჭაში მეფეხე ოჯახს. თუ წინა წელს მის ფეხს ოჯახი კარგად დასცდიდა, მას კიდევ სამი წლით ირჩევდნენ. ამ სამი წლის განმავლობაში მეკვლე ოჯახს პირველი მიულოცავდა ახალი წლის დადგომას ღვინის დოქით, მოხარშული ლორით, შემწვარი წიწილით, ვაშლში ჩარჭობილი ხურდა ფულით, ჩიჩილაკითა და სანთლით ხელში; დალოცავდა ოჯახს, საბძელს, ნალიას, მერე კი იწყებოდა ლხინი. რაჭულ საახალწლო სუფრას ამშვენებდა ლობიანები, ღვინო, ლორი, თაფლი, კაკალი, ტყლაპი, ჩირი და ვაშლი.

ზემო რაჭაში, საახალწლოდ, ორ ბაჭულს აცხობენ, ერთს – ახალი წლისთვის, მეორეს – ძველისთვის. აცხობენ აგრეთვე ადამიანის სახის კაც-ბასილას და ერთ დიდ პურს – „კერია-ბერიას“, რომელსაც სხვადასხვა სახეებით აჭრელებენ. ამ ნამცხვრებს ოჯახის უფროსი ცხრილზე დაალაგებს და ბეღელში შეინახავს. მამლის პირველი ყივილისას „მაკვრიელი“ ან მეკვლე ცეცხლს დაანთებს. შემდეგ გარეთ გავა, მარხილზე დაწყობილ ნეკერს მოტეხავს, ჩიჩილაკს აიღებს და ბეღელში შევა. შემდეგ შინ შემოვა ლოცვით „შემოვდგი ფეხი გწყალობდეთ ღმერთი. დიამც მამივა ახალი წელი: შეძენის და მოგების, მშვიდობის და კარგად ყოფნის, ვაჟიანობის, ღვინიანობის, პურიანობის“. შემდეგ წყლის მოსატანად წავა, მის დაბრუნებამდე ყველანი დგებიან. მეკვლე ყველას ხელპირს დააბანინებს. საუზმის დროს კი, ოჯახის ყველა წევრს „კერია-ბერიას“ უნაწილებენ.

სვანეთში განსაკუთრებით ერიდებოდნენ ახალი წლის წინა დღეებში სტუმრად სიარულს, კლავდნენ საახალწლოდ გასუქებულ ღორს, რომელსაც მეისარაი ერქვა, აცხობდნენ პურებს ჯვრების გამოსახულებით და ტკბილ კვერებს. როგორი ამინდიც არ უნდა ყოფილიყო, მეფეხეს ღამე გარეთ უნდა გაეთია, რათა ოჯახში განწმენდილი შესულიყო და კარგი ფეხი შეეტანა. ოჯახის უფროსს აქაც თავისი საქმე ჰქონდა: ალიონზე უნდა ამდგარიყო, საქონლისთვის მიეხედა, მერე კი სანთლებით ხელში შესულიყო შინ და ოჯახი დაელოცა.

ახალ წელს ოჯახის უფროსი კაცი, ერთი ქალი და ერთი კაცი, სისხამ დილაზე, ჩუმად ადგებოდნენ, სანოვაგით სავსე გიდელს წაიღებდნენ, ყველაზე გამორჩეულ ხარს წაიყვანდნენ და წყალს დაალევინებდნენ, უკან დაბრუნებისას თან წყალი მოჰქონდათ. კალოზე თოვლის ზვინს დადგამდნენ, შუაში ნაძვის ხეს ჩაურჭობდნენ, გარს შემოუვლიდნენ და მერე სახლში შედიოდნენ. კაცი იძახდა: „კარი გამიღეთ, ღვთისა და ხელმწიფის წყალობა მომაქვს!“ შევიდოდა სახლში, შეიყვანდა ხარსაც, სამჯერ შემოუვლიდა კერას, შემდეგ აიღებდა ხელში ბედის პურს, რომელზეც ელაგა: თაფლი, ხორცი, ყველი, ფუღლი და ყველას მიულოცავდა ახალ წელს.

ახალწლის ღამეს, სვანები სხვადასხვა სანოვაგეს გიდელში ჩაალაგებენ და სახლის გასავალ კარებზე ჩამოკიდებენ, რომ მეკვლეს მზად დახვდეს. მეკვლე კარზე დააკაკუნებს შემდეგი სიტყვებით: „ყორ მუკიარ, ყორ მუკიარ (კარი გააღეთ) ღერ თემიში იხელწიფი ჟორ ამღვე, ყორ მუკიარ (ღვთისა და ხელმწიფის წყალობა მომაქვს, კარი გამიღეთ).“

ხევსა და მთიულეთში ახალი წელი ხევისბერების სარიტუალო მსვლელობით იწყებოდა – ისინი დროშას ააბრძანებდნენ წმინდა გიორგის ხატში. როგორც კი ზარები ახალი წლის დადგომას აუწყებდნენ, ტაძრიდან გამოსული ხევისბერები ჯერ ერთმანეთს, მერე კი თემს მიულოცავდნენ ახალ წელს, მშვიდობასა და ბარაქას უსურვებდნენ. ამის შემდეგ წმინდა გიორგისა და მთავარდიდმოწამის სახელის სადიდებლად იკვლებოდა საკლავი და იწყებოდა ზეიმი.

სამცხე-ჯავახეთში ოჯახის დიასახლისი უმძრახ წყალს ეზოში, სასიმინდესა და ნალიაში ასხურებდა; საახალწლო სუფრაზე, გარდა ტკბილეულისა, ეწყო კარაქი, ხავიწიანი კვერები, კარტოფილის ხინკალი და ღვინო. ოჯახის თითოეული წევრის სახელზე ცხვებოდა საბედო, ბანის, სამეკვლეო და ხა-

რის ქედის კვერები, რომლებსაც ოჯახის უფროსი ყრიდა ერდოდან და თან ლოცვასაც აყოლებდა.

31 დეკემბერს, მზის ჩასვლისას, ოჯახის უფროსი მამაკაცი, ხელში რკინის ჯოხით, სახლს სამჯერ შემოუვლიდა, თან ფუძის ანგელოზს სთხოვდა მისი ოჯახი ეშმაკის გზიდან აეცდინა. საღამო ჟამს დიასახლისი შეუდგებოდა საახალწლო კვერების გამოცხობას. პირველად გამოაცხობდნენ ბასილას, რომელსაც გრძელი წვერი და ნიგვზის თვალები ჰქონდა. შემდეგ აცხობდნენ: „ხარის ქედის“ მრგვალ კვერებს, ცხვრის „ბუჟუნას“, რომლის ცომსაც სახრეზე დაახვევდნენ და ისე გამოაცხობდნენ, „ბედის პური“ ცხვებოდა დიდი და შიგ ატანდნენ თეთრ აბაზიანს.

შემდეგ დიასახლისი აცხობდა „ბანის პურებს“ და „ქათამწიწილას“ პურებს, რომელსაც ვაშლის ფორმა ჰქონდა და გარშემო ცომის ნისკარტებს უკეთებდნენ. აცხობდნენ სამეურნეო იარაღების ბედის კვერებს: ცელს, გუთანს, ძროხის ძუძუებს, პურის ორმოს, ქერისას და დიკისას.

ამის შემდეგ სახლის უფროსი კვერებს საახალწლო ტაბლაზე დაალაგებდა. შუაში ესვენა ბასილა, რომელსაც ხელები გულზე ჰქონდა გადაჯვარედინებული. თავთან და ფეხებთან ბასილას ბანის პურებს დაუდებდნენ. ტაბლაზე დადებდნენ თაფლიან ჯამს, ჰალვას, გოზინაყს და ტყვიას. ამ ტაბლას ოჯახის უფროსი კერასთან მიდგამდა.

მამლის ყივილისას ამ ტაბლას აიღებდა, ავიდოდა სახლის ბანზე და დარბაზის გვირგვინს სამჯერ შემოუვლიდა ლოცვით: „ერდოსა შენსა შემოვდგი ფეხი, ჩემო ცოლშვილო გწყალობდეს ღმერთი, ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა, გწყალობდეს წმ. ბასილას მადლი.“

მეკვლე სახლში შესვლის დროს ასეთ ლექსს წარმოთქვამდა:
„ახალ წელიწადს, წლის თავსა გიკვლევ ვაზისა ქითამცა,
შენიმცა სახლი ავსილა ტყავ-კაბა-ზარბაზითამცა;
ცხენზედაც შაგისხდებიან მშვილდისრიანნი, ხმლითამცა,
კარზედამც მოგადგებიან ცხენ-ჯორ-ამაფრაშითამცა;
ტახდზედამც დაგიდგებიან თავ-ოქრო-გვირგვინითამცა,
მტერი სულ დაგიბმრავდების ეშმაკი ხმალით – ცითამცა
მოკეთე ღმერთმა გიმრავლოს, მოყვარე მრავალ გზითამცა;
პურ-ღვინო დაულეველი, ვით მონადირე წყლითამცა;
სიცოცხლე გახარებული, მოუწყინარი დღითამცა;
ასრე დასტკბი ამ ქვეყანას, ვით თაფლი ფუტკრის სკითამცა,
უხვადაც მოგეცემოდეთ თვალ-მარგალიტი ზღვითამცა.“

რატომ უნდა გახდე მასწავლებელი
13 მიზეზი გიორგი ჭაუჭიძისგან

- დღეს მეტად დაფასებულია და კიდევ უფრო დაფასდება
- სიმამაცეს მოითხოვს
- ყველა სფეროს მოიცავს
- შემოქმედებითი პროცესია
- ნიჭიერება დაფასებულია
- მრავალმხრივი განვითარებისა და სწავლის საშუალებაა
- თავისუფალი პროფესიაა
- საინტერესო პიროვნებები და თავგადასავლებია
- აგროვებს სოციალურ კაპიტალს
- დახმარებისა და რჩევის ყოველწუთიერი შესაძლებლობაა
- სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი, ეროვნული საქმეა
- სიყვარულის ადგილია
- აზარტულია

EFA განათლების კოალიცია

მასწავლებლის ეროვნული ჯილდო
მომავალი განათლებაშია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №7-8
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 1 ლარი 90 თეთრი